სექტემბერი
1934 წ.
№ 105

დამოუკიდებელი საქართველო

La Géorgie
Indépendante
Revue mensuelle
SEPTEMBRE
1934—№ 105

საქართველოს პოლიტიკური პარტიების ორგანო.

მ ი ნ ა ა რ ს ი:

მეთაური—მგელი ცხვრის ტყავში.
მოტას სიტყვა წარმოთქმული ერთა ლიგაში.
ხ. შავიშვილი—მიმართვა ერთა ლიგის ყრ. თავმ.
ალბ. მალმ.—მიმართვა ერთა ლ. მშვ. საერ. კონგ.
ადრესი ერთა ლიგას.
უცხოეთის პრესა.
რ. ინგილო—მოსე ჯანაშვილი.
გ. გ.—კარგი საქმე.
ვის საქმეს აკეთებენ?
ს. ფირცხალავა—სომხები და ქართველები. და სხ.

მ გ ე ლ ი ც ხ ვ რ ი ს ტ ყ ა ვ შ ი

18 ამ თვეს საბჭოთა კავშირი მიღებულ იქნა ერთა ლიგის წევრად. უჩვეულო ამბავი, თუმცა არა გასაკვირი, ვინაიდან მას წინ უძღოდა დიდი ხნის სამზადისი, თითქმის ერთი წლის. ისტორიას ხანდახან ირონია სჩვევია და ეს უთუოთ ყველამ იგრძნო, როცა საბჭოთა მიმრქმელად გამოვიდა ბარტუ! ის ბარტუ, რომელიც დორბლებსა ყრიდა გენუაში, 1922 წ., საბჭოთა წინაამდეგ და უმთავრესათ მან დაშალა ეს კონფერენცია. ყასპარს, ბელგიის დელეგატს, გაუჭირდა ამ ნახტომის გაკეთება—ისიც ხომ ბარტუს გვერდით ებრძოდა საბჭოებს გენუაში—და აღნიშნა ნამდვილი მიზეზი არა მარტო თავშეკავებისა, არამედ თვით ლიგის მიერ ასეთი უმზგავსო ნაბიჯის გადადგმისა: სამი დიდი სახელმწიფო მოითხოვს საბჭოთა კავშირის ლიგაში შემოყვანას და აბა ჩვენ რა გვეთქმისო.

მართლაც, საფრანგეთს, იტალიას და ინგლისს თავის თავზე რომ არ აეღოთ ეს დიდი პასუხისმგებლობა, ლიგის კარები არას შემთხვევაში არ გაიღებოდა მოსკოვისთვის. ვიტყვით მეტს, ამ ტრიოს მარტო ინგლისი რომ ჩამოსცილებოდა, მოსკოვი ვერ მიიღებდა საჭირო ორ მესამედს ხმებისას. ინგლისის საზოგადო აზრი, მისი პრესა გულგრილათ, ზოგჯერ მტრულათაც კი უყურებდა საბჭოთა მოკალათებას ჟენევაში. ერთი გაზეთი მოითხოვდა, ინგლისის დელეგატმა «მუშტით მაგიდაზე» უნდა ამცნოს ქვეყნიერებას, რომ ის წინაამდეგია ამ გაუგონარ აქტისო.

და არც არავინ ელოდა ინგლისის მიმხრობას, თუ არა 30 ივნისი გერმანიაში და 25 ივლისი ავსტრია'ში: ინგლისი შეშფოთდა, ომის შიშმა მოიცო საზოგადო აზრი. ეს ისარგებლა ბარტუმაც, საფრანგეთის საგარეო მინისტრმა, და მიიმხრო ის ჯერ აღმოსავლეთის ლოკარნოს და შემდეგ საბჭოთა ლიგაში მიღების სასარგებლოთ. მართალია, ბარტუმ ამ შემთხვევაში დასთმო მთავარი მოთხოვნილება, რომელსაც საფრანგეთი გამუდმებით უყენებდა ინგლისს: დამატებითი გარანტია უზრუნველყოფისა. აი, ეს დათმობა ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ლონდონისთვის და ამიტომ ის პარიზთან და რომთან ერთად წინასწარ ანკეტასაც კი ახდენდა ლიგის წევრ მთავრობათა შორის, როგორი იყო მათი პოზიცია მოსკოვის მიმართ, და ურჩევდა მისთვის თეთრი კენჭი მიეცათ.

ვინც იცნობს ერთა ლიგის ისტორიას, მისთვის ადვილათ მისახვედრია, რომ მთელი მისი მოღვაწეობა ემყარება «დიდების» კარნახს, «მცირენი» აბა როგორ გაბედვენ ურჩობას, არც ყოფილა ასეთი შემთხვევა. მით უფრო ღირსშესანიშნავია, საეპოქო, თუ გნებავთ, უძველეს დემოკრატიის, შვეიცარიის კონფედერაციის საგარეო მინისტრის მოტას გამოსვლა ნამდვილი საბრალმდებულო ოქმით, ლიგის პოლიტიკურ კომისიაში და თვით ყრილობაზედ, საბჭოთა კავშირის წინაამდეგ. გაჭედილი დარბაზი სულგანაბული უსმენდა მოტას გულწრფელ და ალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გზნებულ სიტყვას. როცა გაათავა, ნამდვილი გრგვინვა გაისმა ტაშისა, ასეთი პირველათ სმენია ჟენევას, დელეგატნი და მაყურებელნი თითქო ერთმანეთს ეცილებოდენ... ნუ დაივიწყებთ, დელეგატებს, ცოტა გამოკლებით, ხმა მოსკოვისთვის უნდა მიეცათ! ბარტუს პასუხი უფრო ადვოკატის სიტყვა იყო, ვინემ მინისტრის. არც ერთი არგუმენტი მას არ დაურღვევია, შეგნებულათ გაურბოდა ამ სახით შეკამათებას მოტასთან და ერთად ერთი, რაც მან სთქვა გარკვეულათ, იყო შემდეგი: უკეთესია საბჭოთა მთავრობა (მგელი!) ლიგაში იყოს, ვინემ მის გარეთო.

რა სთქვა მოტამ? ჩვენ აქვე ვათავსებთ მის ისტორიულ სიტყვას უკლებლათ, რათა მკითხველს მიეცეს საშუალება ღირსეულათ დააფასოს ის. ვაქცევთ მხოლოდ მის ყურადღებას ორიოდე მომენტს. მოტამ განაცხადა, რომ შვეიცარია პლებისციტით შემოვიდა ლიგაში, და ეხლა მის მთავრობას მოსკოვისთვის რომ მიეცა ხმა, ის უთუოთ მეორეჯელ მოგვიწყობდა პლებისციტს და ჩვენ თვითონ გაგვაშავებდაო. მოტა მართალია, თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ შვეიცარიის მთელი პრესა, ცოტა გამონაკლით, ეს ზაფხული სასტიკ კამპანიას ეწეოდა საბჭოთა ლიგაში დაშვების წინააღმდეგ. და ეს მაშინ, როცა ერთა ლიგა ჟენევაში ბინადრობს და წარმოადგენს დიდ ღირებულებას ქვეყნისათვის როგორც პრესტიჟის, ისე შემოსავლის მხრით. შვეიცარია არ შეუშინდა ზოგიერთ უცხო ქვეყნის მუქარასაც—ლიგას სხვაგან გადავიტანთო—და ეხლა იმასაც კი ამბობენ, რომ, საბჭოთა მიღების შემდეგ, შეიძლება თვითონ მან გააბრძანოს იგი თავის ტერიტორიიდანო! მოტა ასე შორს არ წასულა, რასაკვირველია, აღნიშნა მხოლოდ, რომ მოსკოვის მთავრობა და კომინტერნი ერთი და იგივეა, მაშასადამე, ეცდება გამოიყენოს ახალი ასპარეზი თავის გამანადგურებელ მუშაობისოვის,—აფრთხილებდა «დიდებს»—და დასძინა, ჩვენ კი ჩვენს მოვალეობას მტკიცეთ შევასრულებთ ასეთი მუშაობის ასალაგმავათო. მეტი არ იქნება გავახსენოთ მკითხველს, რომ ჟენევის საკანტონო მთავრობის თავმჯდომარე ამ ჟამად ჩვენი კარგი ნაცნობი ლეონ ნიკოლია, სოციალისტის ტყავში გახვეული ბოლშევიკი! აქედან შვეიცარიის ხელისუფლებას საზრუნავი მართლაც აქვს.

მაგრამ მოტას არც საბჭოთა კავშირის ჩაგრულ ერთა საკითხი დაუტოვებია უყურადღებოთ. აი, რა სთქვა მან სიტყვა-სიტყვით: «როცა საბჭოთა კავშირი დაშვებულ იქნება, ლიგის საბჭო და ყრილობა დაინახავენ, რომ მათ წინ ბევრი კითხვაა დიათ. ყრილობის რეზოლიუციები საქართველოს დამოუკიდებლობაზე არ მიიძინებს სასიკვდილოთ. სომხეთი, უკრაინა და სხვები ყოველთვის ნახავენ გულითად მეგობრებს მათი დაცვის განსაგრძობათ. არ იფიქროთ, რომ ეს კითხვები არ დაისმის კვლავ. განათლებულ მსოფლიოს სიმპატია სიცოცხლისა და თავისუფლების გმირებისაკენაა. დიახ, ამ კითხვებს ვერ გააქრობს დროთა მსვლელობა».

მოტას სიტყვა მოედო მთელს მსოფლიოს, პრესა მას თითქმის ყველგან აღფრთოვანებით შეხვდა და ერთხელ კიდევ დაჰგმო მოსკოვის ველური პოლიტიკა საერთოთ და ცალკე ჩაგრულ ერთა მიმართ. საქართველოს მთავრობამ განსაკუთრებული ნოტით მიმართა ლიგის ყრილობას და ზედ დაურთო მასალები შესახებ ქართველ ერის სახელმწიფოებრივ მუშაობისა დამოუკიდებლობის დროს, მისი საერთაშორისო უფლებისა, მისი გმირულ ბრძოლისა თავისუფლებისათვის, მის მიერ მოპოებულ პოზიციისა ერთა ლიგაში. მოტამ კიდეც ახსენა ის რეზოლიუციები, რომელიც ორჯელ მიიღო ლიგის ყრილობამ, 1922 და 1924 წ.წ., და ავალებდა თავის საბჭოს ესარგებლნა მოხდენილი შემთხვევა და, თანახმათ საერთაშორისო უფლებისა, ხელი შეეწყო საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისთვის. ნოტაც სწორეთ ამაზე მიუთითებდა ყრილობას: უკეთესი შემთხვევა, როცა მოსკოვი თავის კანდიდატურას აყენებს, შეუძლებელიაო—ამბობდა ის.

მაგრამ ყრილობამ არც ერთი პირობა არ დაუყენა მოსკოვს, ეს არ შედიოდა «დიდების» გეგმაში, და საბჭოები მიიღეს, გარდა შვეიცარიისა, ჰოლანდიის და არგენტინის ხმის წინააღმდეგ და ათიოდე სხვა ქვეყნის თავშეკავებით. სიმბოლიურია არგენტინის ვეტო, თუ გავიხსენებთ, რომ სწორეთ მან იცნო პირველმა საქართველოს დამოუკიდებლობა!

ამ რიგათ, თუ ერთა ლიგის პრესტიჟი ისედაც არ იდგა მაღლა, მოსკოვის დაშვებით ის ძალზე ჩამოქვეითდა. ამას აშკარათ აღნიშნავს საერთაშორისო პრესა, კარიკატურები ამის გამო უთვალავი გამოდის, ერთი მეორეზე უფრო მკბენარი. ერთი ინგლისური გაზეთი იმასაც ამბობს, «ვნახოთ ვინ ვის შესჭამს, ლიგა ცხვრის ტყავში გახვეულ მგელს თუ წინაუკმოო».

ისმის კითხვა, გვმართებს თუ არა ჩვენ ზურგი შევაქციოთ, ამის შემდეგ, ერთა ლიგას? არ ას გზით! მოტამ თავის სიტყვაში უკვე აღბეჭდა გეზი ჩვენი მუშაობისა მომავალში ერთა ლიგასთან. საქართველოს, ისე როგორც სხვა ჩაგრულ ერთა კითხვა, ღიათაა, ლიგა იძულებული იქნება მის გადასაჭრელათ იზრუნოსო. არც ჩვენს ნოტას გამოპარვია ეს მომენ-

ტი: როგორც არ უნდა მოიქცეთ—ეუბნება ის ყირილობას—საქართველოს საკითხი რჩება საერთაშორისო საკითხად, ლიგამ პირნათლათ უნდა შეასრულოს მის მიერ აღებული ვალდებულება საქართველოს მიმართო.

როდის შეასრულებს, ეს დამოკიდებულია დროზე და საერთაშორისო ვითარებაზე. დიდი შეცდომა იქნება ვიფიქროთ, რომ ისინი, ვინც მოსკოვს ყენევაში იწვევდა—ჩვენ ვამბობთ «დიდებზე»—, არ შეცვლიან პოზიციას მის მიმართ. ჯერ თვითონ ლიტვინოვმა განაცხადა თავის «ჩიქოროთულ» ინგლისურზე ლიგის ტრიბუნიდან, რომ მოსკოვი რაც იყო, ის დარჩაო, და ეს პოლიტიკა კი არის მშვიდობიანობა და კიდევ მშვიდობიანობაო. აქედან ორი დასკვნა აშკარაა: 1) მოსკოვი ხელს არ იღებს თავის დამრღვევ მუშაობაზე შინ და გარეთ და 2) მშვიდობიანობა მხოლოდ იმიტომ აკერია დღეს ენაზედ, რომ შორეულ აღმოსავლეთში ცეცხლი უნთია, როგორც მოტამ აღნიშნა სხვა სიტყვებით. «მიმრქმელნი» მიხვდებიან ადრე თუ გვიან, რომ საქმე დაიკავეს ფლიდ

და ვერაგ კონტრაგენტთან. გაიხსენეთ, როგორ ადვილათ წაიღო ერთხელ ინგლისმა მოსკოვის ცნობა უკან! ყენევას ამიერიდან არ მოაკლდება შეკითხვები და პროტესტები მოსკოვის უპირობაზე.

ეს კი ცხადათ მოასწავებს იმას, რომ «დიდები» მხოლოდ ტაქტიკურ დივერსიას აკეთებენ, მაგრამ მთავარი, რის მიღწევას ისინი ლამობდენ—აღმოსავლეთის ლოკარნო—, ყენევის ტბაში ჩაიფლა. ეს იყო დიპლომატიური გამარჯვება გერმანიის და პოლონეთის. იმის მაგიერ, რომ ამ ორ დიდ სახელმწიფოსთან ეძებდენ ერთ გარდაუვალ ზღუდეს ამართვას ევრაზიის ახალი ბარბაროსობისაგან, ამ უკანასკნელს უახლოვდებიან! ამაზე თქმულა, დრონი მეფობენ და არა მეფენიო...

არაფერია. ქართველი ერი, კავკასია, უკრაინა, თურქესტანი განაგრძობენ გმირულ ბრძოლას, მათმა წარმომადგენელებმა უკვე გადასცეს ლიგას სასტიკი პროტესტი მოსკოვის უპირობოთ დაშვების წინააღმდეგ. ამით მათ უკვე აიღეს სწორი გეზი: დაუნდობელი ბრძოლა მტარვალთ შინ და გარეთ!

ᲛᲝᲢᲐᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ

ᲬᲐᲠᲛᲝᲗᲥᲛᲣᲚᲘ ᲔᲠᲗᲐ ᲚᲘᲒᲐᲨᲘ

პოზიცია, რომელიც დაიკავა შვეიცარიის ფედერალურმა საბჭომ საბჭოთა კავშირის ერთა ლიგაში მიღების საკითხის გამო, ყველასთვის ცნობილია. ერთნი აკრიტიკებენ მას, მეორენი იცავენ; იგი ეწინააღმდეგება აქ წარმოდგენილ დელეგაციათა უმრავლესობის აზრს და განსაკუთრებით სამ დიდ სახელმწიფოთა განზრახვებს. ამიტომ შვეიცარიის კონფედერაციის პოზიცია უნდა იქნეს აქ ახსნილი და დასაბუთებული. მე შევეცდები ეს ვქნა იმ ზომიერებით და თავდაჭერილობით, რომელნიც უზრუნველყოფენ საბუთების დამარწმუნებლობას; მაგრამ ამავე დროს ვილაპარაკებ იმ სრული გულახდილობით, რომელიც შეადგენს ჩვენს მოვალეობას ურთიერთის წინაშე.

შვეიცარია ერთად ერთი ქვეყანაა, რომელიც ერთა ლიგაში შევიდა პლებისციტის, ე. ი. მთელი ჩვენი ხალხის და კანტონების ხმის მიცემის გზით. ამ არსებითი საკითხის ირგვლივ გამართული ბრძოლა იყო ერთი ყველაზე უფრო სადაო და ვნებათა ღელვის გამომწვევი ჩვენი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე. ფედერალური მთავრობა ჩაება ამ ბრძოლაში მთელი თავისი ავტორიტეტით და მისი ხმა გაგონილი იქმნა. ერთა ლიგის დამაარსებლებმა ჩვენ გამოგვიცხადეს ნდობა ყენევის არჩევით ახალი დაწესებულების რეზიდენციათ. ჩვენი საზოგადოებრივი აზრი ყოველთვის აფასებდა და აფასებს ამ დიდ პატივისცემას. იმ ფაქტს, რომ ერთა ლიგა იმყოფება ჩვენს ტერიტორიაზე სხვათა შორის ის დადებითი მნიშვნელობა ქონდა, რომ მან ჩვენი საზოგადოებრივი აზრი უფრო მეტად მიაპყრო ერთა ლიგის მუშაობისა და მოღვაწეობისაკენ, ვიდრე სხვა ქვეყნებში. დაწესებულებათა სიახლოვე თითქმის ყოველთვის აძლიერებს მათთადმი ინტერესს.

ჩვენ ყოველთვის უნივერსალობის მტკიცე მომხრენი ვიყავით. ჩვენ ეს დავამტკიცეთ ჩვენივე მოქმედებით. მე რომ უხერხულობას არ ვერიდებოდე, გავიმეორებდი ჩემს ნათქვამს და მოგაგონებდით, რომ ჩემს სიტყვაში 1920 წ. 20 ნოემბერს—ჩვენს პირველ საზეიმო კრებაზე—მე პირდაპირ მოვიხსენიე რუსეთი და გამოვთქვი სურვილი, რომ მას, განკურნებულს თავისი გატაცებისა და თავის ვაებებისაგან მიემართა ერთა ლიგისათვის და ეპოვა მისგან საჭირო დახმარება აღდგენისათვის.

შვეიცარიის მთავრობას, რომელიც აღფურვილია რუსის ხალხისადმი მეგობრული სურვილებით, არ სურდა ეცნო იქ არსებული რეჟიმი—დე-იურე. მან გადასწყვიტა დარჩენილიყო ამ არცნობის და ლოდინის პოზიციაზე. ჩვენი მისია პეტერბურგში დარბეულ იქნა 1918 წელს და ერთი მისი მოხელეც მოკლული. ამის გამო—მათგან არას დროს ბოდიშის მსგავსი რამეც კი არ გვსმენია. 1918 წელში, როდესაც საერთო გაფიცვის ცდამ სამოქალაქო ომის საშინელებაში კინაღამ გაგვიყვანა, საბჭოთა მისია, რომელსაც ჩვენ მანამდე ვითმენდით ბერნში, განდევნილ იქნა შეიარაღებული ძალის საშვალებით, ვინაიდან ის აგიტაციაში მონაწილეობას იღებდა.

როგორც კი მიმდინარე წელს, დიპლომატიურ წრეებში, საბჭოთა კავშირის ერთა ლიგაში მიღების

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესაძლებლობის შესახებ ლაპარაკი დაიწყეს, ფედერალურმა საბჭომ ყოველივე ყოყმანის გარეშე ამცნო პარლამენტს, რომ ის თანაგრძნობით არ უცქერის ამ წინადადებას.—და მართლაც, ამ საკითხზე დადებითი პასუხი იქნებოდა—დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენა—იურიდიულათ თუ არა, ფაქტიურათ მაინც. ასეთ რამეზე ლაპარაკიც კი არ შეიძლებოდა. ფედერალურმა საბჭომ, რომელიც ასე ხანგრძლივათ სიფრთხილეს იჩენდა, იმ მომენტში დადგენილების გამოტანისაგან თავი შეიკავა—მანამდის, სანამ სათანადო საჭიროება არ მოითხოვდა მისგან კატეგორიულათ ეთქვა: «არა»—თუ თავი შეეკავებია. უკანასკნელი კი იქნებოდა შერბილებული ფორმით «უარის» თქმა. მას შემდეგ და იმის მიხედვით, რაც საბჭოთა კავშირის მხრივ ერთა ლიგისადმი მიმართვის შესაძლებლობა ახლოვდებოდა და ძლიერდებოდა, ჩვენი საზოგადოებრივი აზრი დიდის ინტერესით მიუდგა ამ საკითხს. მე ქვევით აგიხსნით, რისთვის და როგორ გამოიხატა ეს საზოგადოებრივი აზრი, მაგრამ უწინარეს ყოვლისა გთხოვთ ნება დამრთოთ აგიხსნათ მისი არსება და მნიშვნელობა.

ჩვენი საზოგადოებრივი აზრი ყოველთვის თავისუფალია. იგი ამავე დროს უშუალოა. ჩვენში პრესის სრული თავისუფლებაა. ფედერალური საბჭოსთვის არც კი არსებობს ოფიციოზური პრესის მცნება. მაღლიდან არ მოდის არც ზეგავლენა და არც დირექტივები. ამავე დროს ჩვენში არსებობს ყოველგვარი პატრიოტული კავშირები, რომლებიც ანვითარებენ და ინახავენ მოქალაქობრივობის სულს. რომ სხვანაირათ ყოფილიყო, ჩვენ არ ვიქნებოდით ის დემოკრატია, რომელიც ვართ. ჩვენი დემოკრატიით ჩვენ ვამაყოფთ. ის არის ჩვენი არსებობის ერთი რეზონთაგანი. არ არის დემოკრატია,—შვეიცარიაც არ არის. მაშასადამე, თუ დიდმნიშვნელოვან საკითხის გამო,—პრესსა და პატრიოტული ასოციაციები, განურჩევლათ პარტიებისა, რაიონებისა და ენების, დიდის უმრავლესობით, ერთდაიმავე აზრს გამოთქვამენ, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ვიმყოფებით—ნათლათ—გამოთქმულ ეროვნულ ნების წინაშე. მთავრობამ მას ანგარიში უნდა გაუწიოს. ის ასე უნდა მოიქცეს მით უმეტესს, თუ მისსა და საზოგადოებრივ აზრს შორის თანხმობა არსებობს. ასეა ამ შემთხვევაში.

აი როგორ ისმება ჩვენს წინაშე საკითხი საბჭოთა კავშირის ერთა ლიგაში დაშვების შესახებ, თუ მხედველობაში მივიღებთ—რაც მთავარია, და მეორე ხარისხოვანს კი უკუვაგდებთ. იმ რეჟიმმა და მთავრობამ, რომლის დოქტრინა და სახელმწიფოებრივი პრაქტიკა არის ექსპანსიური და მებრძოლი კომუნიზმი, შეასრულა აუცილებელი პირობები, რომელნიც საჭირონი არიან მისი ჩვენს შორის დასაშვებათ? არ შეეჩერდები ჩვენი წესდების არც შესავალზე და არც მის ცალკე მუხლებზე. შემეძლო ამომეკრიფა აქედან მეტათ მაგარი საბუთები, მაგრამ ეს მიმაჩნია მეორე ხარისხოვნათ შედარებით წესდების ძირითად პრინციპებთან, მის პირველ მიზანთან—ყველა იმასთან, რაც მასში არ არის გამოთქმული, რადგან ის იმდენათ ბუნებრივია, რომ თავის თავათ იგულისხმება.

ეს კომუნიზმი არის ყველა დარგებში—რელიგიურში, მორალურში, სოციალურში, პოლიტიკურში—უაღრესათ რადიკალური უარყოფა ყველა იმ იდეების, რომლებსაც ჩვენ ვეყრდნობით და რომლებითაც ჩვენ ვცხოვრობთ. მრავალმა სახელმწიფომ კომუნისტების პროპაგანდაც კი აკრძალეს და ყველანი მას თვლიან სახელმწიფოებრივ დანაშაულათ, როგორც კი ისინი თეორიიდან მოქმედებით სარბიელზე გადადიან. საბჭოთა კომუნიზმი ებრძვის რელიგიურ იდეას და ყველა ფორმის სულიერ მოძღვრებას. ლენინმა რელიგია ოპიუმს შეადარა; სინდისის თავისუფლება მხოლოთ მოჩვენებაა. კულტის მოსამსახურეთ და მათ ოჯახებს ჩამორთმეული აქვთ სასურსათო ბარათები. ეკლესიები დაკეტილი და დანგრეულია. მოსკოვში იყო 500 ეკლესია და სამლოცველო. ახლა არის 40. მთელი მსოფლიოს ქრისტიანული ეკლესიები საშინლათ განიცდიან იმათ დევნას, ვინც იქ ქრისტეს სარწმუნოებას მისდევს. ეგრეთ წოდებულმა პეტიციამ წამებულების შესახებ შეჰკრიბა შარშან შვეიცარიაში 200.000-ზე მეტი ხელის მოწერა.

კომუნიზმი ხრწნის ოჯახს. აუქმებს კერძო ინიციატივას და კერძო საკუთრებას. მიმართავს შრომის ისეთ ფორმებს, რომლის გარჩევა ძნელია იძულებითი მუშაობისაგან. რუსეთში მძვინვარებს საშინელი რისხვა სიმშილისა და სრულიათ მიუდგომელი მეთვალყურენი თავის თავს ეკითხებიან—არის ეს სიმშილი შედეგი ბუნებრივი მიზეზებისა, თუ ძირითადათ უკულმართ ეკონომიურ და სოციალურ სისტემისა? მაგრამ კომუნიზმის ყველა ეს განსხვავებული თვისებები, რომელთა ობიექტურათ აღნუსხვას მე ვცდილობ, კიდევ არ იძლევიან საკმაო წარმოდგენას რუსულ კომუნიზმზე. საჭიროა მათ დავუმატოთ კიდევ ერთი არსებითი და უაღრესი თვისება, რომელიც მას საბოლოოთ ყოფს შეუთავსებლათ საერთაშორისო ურთიერთობის ერთ ფრიათ საჭირო და საყოველთაოთ მიღებულ პრინციპთან. რუსული კომუნიზმი ცდილობს დამკვიდრდეს ყოველგან. მისი მიზანია მსოფლიო რევოლიუცია. მისი ბუნება და მისწრაფებაა პროპაგანდა აწარმოოს თავის ქვეყნის გარეშე. მისი სასიცოცხლო კანონია ექსპანსია, რომელიც სცილდება მის პოლიტიკურ საზღვრებს. თუ კომუნიზმი ამაზე უარს იტყვის, ის უარყოფს თავის თავს; თუ არ უარყოფს, ის ხდება ყველასი მტერი, რადგან იგი ემუქრება ყველას. შემეძლო ადვილათ დამედასტურებია ყოველი ჩემი ნათქვამი ბოლშევიკურ ოფიციალურ ლიტერატურიდან ამოკრეფილ ნამდვილ ტექსტებით, მაგრამ არ შეგაწუხებთ არა საჭიროო ციტატებით. სიტყვა ეხება უდავო ჭეშმარიტებას...

ვიცი, რას მიპასუხებენ ამაზე: ლაპარაკობენ კომუნისტური პარტია და ბოლშევიკური სახელმწიფო არ უნდა აურიოთ ერთმანეთშიო.

ეგ არ არის პასუხი. ბოლშევიკური სახელმწიფო, რუსული კომუნისტური პარტია და მის მიერ შობილი მესამე ინტერნაციონალი წარმოადგენენ ერთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთელს. ბოლშევიკური სახელმწიფო დაარსებულ იქმნა კომუნისტურ პარტიის პროგრამის ცხოვრებაში გასატარებლათ. ლენინი თავის პიროვნებაში აერთებდა სახელმწიფოს მეთაურს და პარტიის მეთაურს. ახლანდელი გენერალური მდივანი ფორმალურად არ არის სახელმწიფოს მეთაური, მაგრამ ნამდვილად კი მისი პატრონია. სახელმწიფო და პარტია განუყოფელნი არიან. პარტია მბრძანებლობს, სახელმწიფო ასრულებს.

არის მეორე უფრო მნიშვნელოვანი მოსაზრება. მე მინდა ჯერ მოგახსენოთ ის და შემდეგ განვიხილო.

საბჭოთა კავშირი შეადგენსო—მეტყვიან—ვებერთელა ტერიტორიას 165 მილიონი მცხოვრებით. საშიში იქნებოდა ანგარიში არ გაგვეწია და განზრახ გაგვერიყა ისეთი სახელმწიფო, რომელიც მიბრუნებულია ერთი მხარით აზიისა და მეორეთი ევროპისაკენ და რომელიც—ასე ვთქვათ—ორი კონტინენტის ჯვარედინზე მდებარეობს. ერთა ლიგა წარმოადგენს საერთაშორისო თანამშრომლობის მხოლოდ ერთ ახალ ფორმას; ის არის არა ზნეობრივი დაწესებულება, არამედ პოლიტიკური ასოციაცია, რომლის მიზანია განსაკუთრებით და უპირველეს ყოვლისა ხელი შეუშალოს ომს და დაიცვას ზავი. თუ რუსეთის მიღებას შეუძლია ხელი შეუწყოს ზავის საქმეს, ჩვენ უნდა შევეწყოთ ამ გარემოებას, მიუხედავათ ყოველივე შიშისა, ეჭვებისა და ზიზღისა, რასაც განიცდიან მრავალი მთავრობები. არავის არ ეკრძალება იქონიოს იმედი, რომ საბჭოთა რუსეთის მუდმივი თანამშრომლობა სხვა სახელმწიფოებთან ერთა ლიგის წიაღში ხელს შეუწყობს ყველასათვის და უპირველეს ყოვლისა თვით რუსეთისათვის კეთილმყოფელ ევოლიუციას.

თქვენ სამართლიანათ გეტოშებოდათ, ქალბატონებო და ბატონებო, მე რომ ასეთი შეხედულება მივიჩნიო ყოველივე ღირებულებას მოკლებულათ. საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის და იტალიის მთავრობებმა უკვე ამცნეს ანალოგიური მოსაზრებანი ფედერალურ საბჭოს ჩვეულებრივი დიპლომატური საშვალებით, ე. ი. ბერნში მათი წარმომადგენლების პირით. ჩემსა, როგორც ფედერალური პოლიტიკური დეპარტამენტის შეფსა და მათ შორის მოლაპარაკება მიმდინარეობდა მეგობრულსა და ნდობის ატმოსფერაში. მე ერთხელაც არ მიმიღია შთაბეჭდილება ზეგავლენის, თუნდაც არაპირდაპირის და ყოველივე გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად საჭიროთ მიმაჩნია განვაცხადო ეს აქ.

მაგრამ თუ გავიგეთ თვალსაზრისი სხვა სახელმწიფოების და განსაკუთრებით დასახელებულ სამ დიდ სახელმწიფოსი, ჩვენ მაინც იძულებული ვიყავით სხვა პოზიცია დაგვეკავებია. ისეთ სახელმწიფოს, როგორიც შვეიცარიაა, რომელსაც არ შეუძლია და არც უნდა ითამაშოს როლი დიდ პოლიტიკაში, აქვს—და ეგ ბუნებრივია—თავისი საკუთარი შეხედულება. ოპორტიუნიზმი, თუნდაც მაღალი ხარისხის და სრულიად კანონიერი, ზოგიერთ შემთხვევაში ჩვენთვის აკრძალულია. ჩვენ შეგვიძლია შეევჯიბროთ სხვა სახელმწიფოებს მხოლოდ ზნეობრივ სრულყოფილობის ძიებაში.

ბოლშევიკური წესწყობილების ისეთი ევოლუცია, რომელიც თქვენთან ერთად ჩვენც გვინდა, ჩვენ არ გვჯერა. ჩვენ არ შეგვიძლია საყოველთაობის პრინციპის გულისთვის გავსწიროთ თუნდაც მინიმუმი იმ ზნეობრივ და პოლიტიკური დონესი, რომელიც სავალდებულოა ყველა სახელმწიფოებისთვის. ერთა ლიგა არის—ან იგი უნდა იყოს—ჩვენს თვალში კაცობრიობის ერთი უდიდესი ქმნილება და მიღწევა! როდესაც 1920 წლის 19 მაისს შვეიცარიის ხალხმა და კანტონებმა გადალახეს ტრადიციებზე დამყარებული ყოველგვარი დაბრკოლებანი და გადაწყვიტეს ერთა ლიგაში შესვლა, ისინი თავგანწირულად გამოეხმაურენ იდეალის მოწოდებას.

ახლა ყველა შვეიცარელი, რომელიც ატარებს პატრიოტულ ნაციონალურ შეხედულებებს, გრძნობს, რომ ერთა ლიგა მეტად სარისკო საქმეში ებმება. მას არ ეშინია შეაერთოს ცეცხლი და წყალი. თუ საბჭოთა რუსეთმა უცბად გაანება თავი იმ ერთა ლიგის ლანძღვას, იმ ლიგის, რომელსაც ლენინმა ავაზაკური წამოწყება უწოდა,—ეს მისი ახალი პოზიცია აიხსნება იმ ნიშნებით, რომელნიც სერავენ შორეულ აღმოსავლეთის ცას. ჩვენ არ გვაქვს რწმენა. ჩვენ არ შეგვიძლია მონაწილეობა მივიღოთ იმ აქტში, რომელიც მისცემს საბჭოთა რუსეთს დღემდე არ ქონებულ უპირატესობებს.

მაგრამ არჩევანი მომხდარია. Alea jacta est. ჩვენ გვირჩევნია გამფრთხილებელის როლში ვიყვეთ. ჩვენ ვისურვებდით, რომ გადაჭარბებული აღმომჩდარიყოს ჩვენი შიში. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ყველა სახელმწიფოები დაგვეხმარებიან, რათა ჟენევა არ გადაიქცეს გამხრწნელ პროპაგანდის კერათ. ჩვენ ვიდგომილებით სადარაჯოზე. ასეთია ჩვენი ვალი. ამ ჟამათ ჩვენთვის საკმარისია ის, რომ საბჭოთა რუსეთმა ვერ შესძლო ერთა ლიგაში შემოსვლა ერთხმა მოწოდებით, მისი წარსულის დავიწყებით და გამარჯვებულის გვირგვინით.

როდესაც ის იქნება მიღებული, საბჭო და საერთო კრება იქნებიან დაყენებული რამდენიმე ღიად დარჩენილ საკითხთა წინაშე. საერთო კრების მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ გამოტანილი რეზოლიუციები ვერ დაიძინებენ მკვდრის ძილით. სომხეთი, უკრაინა, სხვა ქვეყნები კიდევ იპოვიან გაბედულ პირთ, რომელნიც განაგრძობენ მათ ბედ-იღბალზე ზრუნვას. არ შეიძლება ითქვას: აწი ეგ საკითხები არ დაისმებიან. მთელი მსოფლიოს სიმპატიები თან ახლავთ იმ გმირებს, რომელნიც იცავენ თავის სიცოცხლეს და თავის ბედს. ასეთ კითხვებს ვერ გაბათილებს დროთა მსვლელობა.

განსაკუთრებით მაშინ, როცა დელეგატები გამოჩდებიან ჟენევაში, ჩვენ იმედი გვაქვს, გაისმება ხმები, რომ ადამიანური სინდისის სახელით განმარტება მოეთხოვოს მათ მთავრობას. ისინი დაგმობენ იმ ანტირელიგიურ პროპაგანდას, რომლის მზგავსი არ იცის კაცობრიობის მოდგმის მატიანემ და რომელიც გლოვასა და ცრემლებში აგდებს ყოველ ქრისტიანს, ყოველ ადამიანს, რომელსაც სწამს ღმერთი და მიმართავს მის სამართლიანობას.

მე გავათავე. შეეცადე გამეგონებია თქვენთვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვეიცარიელთა დიდი უმრავლესობის ხმა. ჩვენ არ გვაქვს არავითარი განზრახვა სხვებს ვასწავლოთ. მე ჩემს მოვალეობად ვთვლიდი მელაპარაკა თავისუფლად. ასე რომ არ მოვქცეულიყავ, მე ვუღალატებდი ჩემს ამოცანას.

ის ფაქტი, რომ ეს მეტად დელიკატური კამათი მიმდინარეობდა დამშვიდებულ გარემოებაში, საპატიოა ჩვენი კრებისთვის. შვეიცარიის ხალხი დამშვიდებული მიიღებს თქვენი უმრავლესობის გადაწყვეტილებას იმ დემოკრატიული დისციპლინით, რომელიც გამომდინარეობს მის საუკუნოებრივ ტრადიციებიდან.

მ ი მ ა რ თ ვ ა

ერთა ლიგის მეთუთხმეტე ყრილობის თავმჯდომარეს

ბ. თავმჯდომარე, იმ დროს, როცა დღის წესრიგშია დასმული ს. ს. რ. კავშირის მიღება ნაციათა ლიგაში, საჭიროდ მიმაჩნია გავახსენო მეთუთხმეტე ყრილობას ქართველი ერისა და მისი წესიერი მთავრობის სახელით 1922 და 1924 წლ. დადგენილებანი, ერთხმად მიღებული მესამე და მეხუთე ყრილობების მიერ შესახებ საქართველოსა, რომელიც დაკავებული აქვთ რუსის ჯარებს. ეს გახსენება მით უფრო აუცილებელია, რომ მეთუთხმეტე ყრილობა, ვიდრე გადასწყვეტდეს ს. ს. რ. კავშირის მიღებას, ვალდებულია იქონიოს სრულიად გარკვეული ცნობა, რომ საბჭოების მთავრობა იცავს საერთაშორისო ვალდებულებებს. ნაციათა ლიგის პაქტის პირველი მუხლი შესახებ ახალი წევრების მიღებისა ამბობს: «ყოველს სახელმწიფოს... შეუძლია იყოს ლიგის წევრი... თუ არსებობს ნამდვილი გარანტიები იმის, რომ მას აქვს გულწრფელი განზრახვა შეასრულოს თავისი საერთაშორისო ვალდებულებანი».

თუ რამდენად ნამდვილია საბჭოების მთავრობის მოცემული გარანტია, ნაციათა ლიგას შემთხვევა ჰქონდა ეს შეემოწმებია საქართველოს საკითხით. 1920 წ. 7 მაისს საბჭოების მთავრობამ ხელშეკრულობა დასდვა საქართველოს მთავრობასთან, რომლის პირველი მუხლი ასეა გამოთქმული: «რუსეთი უარეზერვოთ აღიარებს საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობას და სუვერენობას და სრული ნებით უარს ამბობს ყველა იმ სუვერენულ უფლებაზე, რომელიც ეკუთვნოდა რუსეთს ქართველი ერისა და მისი ტერიტორიის მიმართ». და 1921 წ. 11 თებერვალს საბჭოების იგივე მთავრობა, წინაამდეგ დადებულ ხელშეკრულობისა და ომის გამოუცხადებლად შეესია საქართველოს და დაიკავა თავის ჯარებით.

ეს აშკარა დარღვევა ხელშეკრულობისა მეხუთე ყრილობის მომხსენებელმა ბ. მაკდონალდმა (კანადა) 1924 წ. 25 სექტემბერს ასე შეაფასა: «რა მოხდა? ფაქტი, რომლის მეორე მაგალითი ქვეყნიერების ისტორიას თითქმის არ ახსოვს. რუსეთი, თუმცა იცნო საქართველო, თავს დაესხა მას წინაამდეგ ვალდებულებათა. ამ დღიდან მთელი მსოფლიოს ყველა ერის თანაგრძნობა მიიპყრო საქართველომ».

აღშფოთება იყო საყოველთაო, მით უფრო, რომ საქართველო დე-იურე იყო ცნობილი უკვე თითქმის ყველასგან: ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის, იაპონიის, გერმანიის, პოლონეთის, თურქეთის, ბელგიის, რუმინიის, ავსტრიის, არგენტინის, მექსიკის მიერ...

მთელმა ქვეყანამ დაიფასა ქართველი ერის შეუწყვეტელი ბრძოლა თავის სახელმწიფოს აღდგენისათვის. ა. ბრიანი, როგორც თავმჯდომარე მოკავშირეთა უმაღლესი საჭოსი 1921 წ. 27 იანვარს სწერდა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს: «მოკავშირე სახელმწიფოები ბედნიერნი არიან, რომ აქვთ შემთხვევა, ერთხელ კიდევ დაადასტურონ ის თანაგრძნობა, რომლითაც ისინი თვალყურს ადევნებენ ქართველი ერის მისწრაფებას დამოუკიდებლობისადმი, და ის აღტაცება, რომელსაც იწვევს მათში ქართველი ერის უკვე შესრულებული საქმე».

გასული წლის ივლისში ს. ს. რ. კავშირმა ხელშეკრულობა დასდვა მეზობელ სახელმწიფოებთან შესახებ თავდამსხმელის განსაზღვრისა. ეს ხელშეკრულობა თავდამსხმელს უწოდებს იმ სახელმწიფოს, რომელიც თავის ჯარებით, თუნდაც ომის გამოუცხადებლად შეესევა მეორე სახელმწიფოს, ვინც დაეხმარება თავის ტერიტორიაზე შეიარაღებულ ბანდებს სხვის სახელმწიფოზე თავდასასხმელად, და სხ. ვინც იცის 1921 წ. თებერვალ-მარტში საქართველოში მომხდარი ამბები, იმას არ შეუძლია არ დაასკვნას, რომ საბჭოების მთავრობამ 1933 წელს თავდამსხმელი განსაზღვრა იმ საქმეების მიხედვით, რომლებიც თვითონ ჩაიდინა 1921 წ. საქართველოს მიმართ.

ნაციათა ლიგის მესამე ყრილობის რეზოლუცია ამბობს: «ნაციათა ლიგის ყრილობამ, განიხილა რა საქართველოს საკითხი, მოუწოდებს საბჭოს ბეჯითად თვალყური ადევნოს ამ ქვეყნის ამბებს და არ გამოუშვას შემთხვევა, რათა დაეხმაროს მას მშვიდობიანი და საერთაშორისო უფლების წესების თანახმად ნორმალური მდგომარეობის აღდგენისათვის».

მეხუთე ყრილობამ განაახლა ეს დადგენილება და შეავსო ასეთნაირად: «არსებითი პირობები არ შეცვლილა და ტრაღიკული ამბები, რომლებსაც ადგილი აქვს დღეს საქართველოში, გვიცხოველებენ მესამე ყრილობის საზრუნავს. 1922 წლის რეზოლუციას ვადასტურებთ და ამას უნდა დავსძინოთ ჩვენი იმედი, რომ ლიგის წევრ სახელმწიფოთა მთავრობები დაეხმარებიან საბჭოს ინფორმაციის მიწოდებით თუ მშვიდობიანი გავლენის საშუალებით, რამდენად გარემოება ამის შესაძლებლობას მისცემს».

«ტრაღიკულ ამბებად» ყრილობა აქ გულისხმობდა ქართველი ერის აჯანყებას, რომელიც სისხლში ჩაახჩო საოკუპაციო ხელისუფლებამ. აი რა სთქვა პოლ-ბონკურმა (საფრანგეთი) ამის გამო 1924 წ. 11 სექტემბერს ყრილობის სხდომაზე: «ჩვენ აქ ყველანი ვგრძნობთ, თუ რამდენად ამაღელვებელია და ერთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვარად პარადოქსალური, რომ მაშინ, როცა ჩვენ შევკრებილვართ აქ, რათა დალაგებით ვიმსჯელოთ მშვიდობიანობის ინტერესებსა და მის საუკეთესო საშუალებებზე,—ქვეყნიერების ერთ კუთხეში ომია, სისხლი იღვრება, და იმდენს ხოცვა-ყლეტას აქვს ადგილი, რომ დიდი ტკივილის და მწუხარების ხმა ხელახლა წვდება ცას... წინადადება, რომელსაც წარმოგიდგენთ ინგლისის, ბელგიის და საფრანგეთის დელეგაციების სახელით, არის შედეგი იმ შეთანხმებისა, რომელიც მოხდა ინგლისის პრემიერ მაკდონალდს და საფრანგეთის მთავრობის თავმჯდომარეს ჰერიოს შორის».

როდესაც ერთა ლიგა მოუწოდებს თავის საბჭოს იმოქმედოს «მშვიდობიანი საშუალებებით და თანახმად საერთაშორისო წესებისა», ეს მოგვაგონებს იმ არსებითს ელემენტებს, რომელთაც ემყარება ლიგის აგებულობა. თუ საბჭოების მთავრობას უნდა, რომ მსოფლიო საზოგადოებრივმა აზრმა ირწმუნოს მისი მშვიდობიანი განცხადებანი და ენდოს მის ერთგულობას და გულწრფელობას ლიგის არსების მიმართ, იგი ვალდებულია ყოველის უწინარეს გამოასწოროს ჩადენილი უსამართლობა და გაიყვანოს საქართველოდან თავისი ჯარები.

ნებას ვაძლევ ჩემს თავს ვიფიქრო, რომ საუკეთესო შემთხვევა «დასახმარებლად საქართველოში ნორმალური მდგომარეობის აღდგენისათვის» არის სწორედ ეხლა, როცა მეთუთხმეტე ყრილობამ უნდა გამოსთქვას თავისი აზრი ს. ს. რ. კავშირის კანდიდატურის შესახებ. დარწმუნებული ვარ, როგორიც არ უნდა იყოს ამ ყრილობის გადაწყვეტილება, იგი ვერ შესცვლის სრულებით საქართველოს იურიდიულ მდგომარეობას საერთაშორისო უფლების თვალსაზრისით.

გთხოვთ ყოველივე ზემოხსენებული აუწყოთ ნაციათა ლიგის მეთუთხმეტე ყრილობას.

საქ. ეროვ. მთავრობის რწმუნებული

ს. მავიშვილი.

1924 წ. 10 სექტემბერი.

ᲬᲘᲜᲐᲠᲗᲕᲐ

ერთა ლიგას მშვიდობ. საერთაშ. კონგრესისაკენ.

ბ- თავმჯდომარე. მშვიდობიანობის საერთაშორისო მეოცე კონგრესის, რომელიც შესდგა ლოკარნოში 6 სექტემბერს. დღის წესრიგში შედიოდა საკითხი რუსეთის შესვლისა ერთა ლიგაში და ამასთან პირდაპირ დაკავშირებით საქართველოს სუვერენულ სახელმწიფოებრივ უფლებათა აღდგენა. წინასწარმა კომისიამ საკითხი შეისწავლა იმ მოკლე მოხსენების მიხედვით, რომელიც დამზადებული ჰქონდა მშვიდობიანობის საერთაშორისო ბიუროს. აი არსებითი შინაარსი ბიუროს მოხსენებისა: ბიუროს სიამოვნებით აღნიშნავს, რომ მან არა ერთხელ გამოაცხადა უნივერსალობის პრინციპი ერთა ლიგისა და იგი ყოველთვის აღტაცებით ეგებებოდა ახალი წევრების მიღებას. ხოლო მას აუცილებლად მიაჩნია ზოგიერთი რეზერვის გაკეთება. ბიუროს არ ივიწყებს იმ თვალსაჩინო დახმარებას, რომელიც აღმოუჩინა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა განიარაღების კონფერენციას, არც იმ გარკვეულ განცხადებებს, რომლებიც მან გააკეთა ბევრ შემთხვევაში, დაბოლოს რუსეთის ელჩის ნათელ შეფასებას პრაღაში შესახებ ხელშეკრულობათა რევიზიის, შესახებ რუსეთის მტკიცე გადაწყვეტილებისა—არ იმოქმედოს აღმოსავლეთის პაქტის სასარგებლოთ რომელიმე სახელმწიფოს დასაზიანებლად, და შესახებ ერების თვითგამორკვევის უფლებისა. ჩვენ აღვიარებთ, რომ თავდაუსხმელობის პაქტების შეკვრით თავის მეზობლებთან ს. ს. რ. კავ. მეტად დიდი საქმე შეასრულა მშვიდობიანობის განსამტკიცებლად. მშვიდობიანობის მოყვარენი შეძრწუნდენ, როცა უარყოფილ იქნა მოლოტოვის წინადადება საერთო კავშირის შეკვრისა რომის დამწყების წინაამდეგ...

მაგრამ არის ერთი საგანი, რომელზედაც გაჩუმება არ შეგვიძლია. საქართველოს თავს დაესხენ, დაიპყრეს და შეუერთეს რუსეთს წინაამდეგ ხელშეკრულობისა, რომელიც წესიერად იყო მიღებული და ხელმოწერილი ორივე მხარეს მიერ. საქართველო ბარბაროსული ქვეყანა არაა. ქართველი ერი, როგორც ეს ამას წინად განაცხადა ჩეხოსლოვაკიის სენატის თავმჯდომარემ სოუკუპმა, ერთი უძველეს ერთაგანია. იგი არსებობდა, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, ჯერ კიდევ ქრისტეს დაბადებამდე. ვის არ გაუგონია კოლხეთი, ოქროს ვერძის ქვეყანა. ქართველი ერი დიდი ზნეობის და კულტურის ერია და მას აქვს საუცხოო ლიტერატურა. საბჭოთა რევოლუციის შემდეგ საქართველომ აღადგინა თავისი დამოუკიდებლობა (1918 წ., 26 მაისი). ეს სახელმწიფო იცნო ვერსალის ხელშეკრულობამ; იცნო იგი თვით საბჭოებმა 1920 წ. 7 მაისს. ხოლო დღეს საქართველო იმყოფება უცხო სამხედრო ოკუპაციის ქვეშ. რუსეთმა დაარღვია ძალით ხელშეკრულობა. საჭიროა, რომ მან ეს აღადგინოს. წინადადებას ვიძლევით შემდეგი რეზოლუციის გამოსატანად: «მშვიდობიანობის საერთაშორისო მეოცე კონგრესი სიხარულით შეხვდება რუსეთის შესვლას ერთა ლიგაში იმ პირობით, რომ ის დააკმაყოფილებს შემდეგს მოთხოვნილებებს: გაყვანილ იქნება რუსეთის ჯარები საქართველოდან და აღდგენილ იქნება საქართველოს სუვერენული სახელმწიფოებრივი უფლებები».

სოლიდარობის რა მშვენიერს საბუთს წარმოადგენდა ლიტვინოვი, რომ იმ სხდომაზე, რომელზედაც მას მიიღებდენ, განაცხადებდეს, რომ ამიერიდან საქართველო თავის თავის პატრონია! ესეთი პატივისცემა იმ პატარა ერის არსებობისა, რომლის მწარე ბედი სამართლიანობის ყველა მეგობარს ძლიერ აწუხებს, მთელი ქვეყნიერების თვალში მაღლა ასწევდა ს. ს. რ. კავშირს.

წინასწარმა კომისიამ ხანგრძლივი კამათის შემდეგ თუმცა და ერთხმად და ურეზერვოთ აღიარა საქართველოს უფლება, მ[illegible] უმჯობესად იცნო ორი საკითხის გაყოფა—ერთის ს. ს. რ. კავშირის მიღების ნაციათა ლიგაში და მეორეს საქართველოს დამოუკიდებლობის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს შესახებ შემდეგი დადგენილება იქნა გამოტანილი: «მშვიდობიანობის საერთაშორისო მეოცე კონგრესი ემყარება რა თავის წინანდელს რეზოლუციებს, გამოსთქვამს სურვილს, რომ საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობა აღდგენილ იქნეს რაც შეიძლება მალე, ერთა ლიგის ფარგალში».

მიუხედავად ამისა, კონგრესის მრავალმა წევრმა მოინდომა გამოეცხადებია მტკიცე იმედი უსამართლობის დაუყონებლივი გამოსწორებისა, რომელიც თუ ასე დარჩა, დიდს ვნებას მიაყენებდა ერთა ლიგის ავტორიტეტს, და შეადგინა ცალკე პეტიცია, რომელსაც ამასთან გაახლებთ და გთხოვთ გააცნოთ ერთა ლიგის ყრილობას.

საქართველოს დამხმარე საერთაშორისო
კომიტეტის თავმჯდომარე ალშ. მალშ.

გენერალური მდივანი არმ. კარმანჰიოლა.

ა დ რ ე ს ი

ერთა ლიგას

ვიღებთ რა მხედველობაში, რომ 1) საქართველომ გამოაცხადა თავის დამოუკიდებლობა 1918 წ. 26 მაისს და ეს აქტი დამტკიცებული იყო ერთხმად საყოველთაო არჩევნებით შემდგარ დამფუძნებელი კრების მიერ, 2) წესიერად დადებულ ხელშეკრულობით 1920 წ. 7 მაისს საბჭოთა რუსეთმა «ურეზერვოთ იცნო დამოუკიდებლობა და სუვერენობა საქართველოს სახელმწიფოს და სრული ნებით უარი თქვა ყოველ უფლებაზე, რომელიც ეკუთვნოდა რუსეთს ქართველი ერისა და მის ტერიტორიის მიმართ», 3) საქართველოს დამოუკიდებლობა დე-იურე იყო ცნობილი 1921 წ. 27 იანვარს უმაღლეს საბჭოში შემავალ ყველა სახელმწიფოს მიერ, 4) ერთა ლიგის ყრილობამ ორჯელ 1922 წ. 22 სექ. და 1924 წ. 25 სექ. გამოიტანა რეზოლუციები საქართველოს სასარგებლოთ,

ქვემორე ხელის მომწერნი, წევრნი მშვიდობიანობის საერთაშორისო კონგრესისა, ვუცხადებთ ჩვენს თანაგრძნობას ქართველ ერს და გამოვსთქვამთ იმედს, რომ ს. ს. რ. კავშირის შესვლას ერთა ლიგაში მოყვება საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა, რაც შეიძლება მოკლე დროში.

(ხელს აწერენ 72 კაცი, მთელი ქვეყნის საზოგადოებრივი და პოლიტიკ. აზრის წარმომადგენელნი, რომელთა სიას სრულად დავბეჭდავთ შემდეგ ნომერში).

უ ცხ ო ე თ ი ს პ რ ე ს ა

საბჭოთა რუსეთი და ერთა ლიგა.

მოსკოვი უკვე შევიდა ერთა ლიგაში. ამ შესვლას დიდი ხმაური და აზრთა ჭიდილი უძღოდა. როგორც გამოჩნდა არც ისე ადვილი შეიქნა მოსკოვის დიქტატორების შებრძანება ლიგაში; რომ დიდი სახელმწიფოების პატრონაჟი და, განსაკუთრებით საფრანგეთის საგარეო საქ. მინისტრის ბარტუს გამოცდილი დიპლომატურ ნიჭი არა—მოსკოვი კიდევ დიდხანს ვერ შეაღებდა ევენევის კარებს. ოპოზიცია მეტად მძლავრი გამოდგა, უფრო მძლავრი, ვინემ ეს ლიტვინოვის მეგობრებს წარმოედგინათ. ევენევაში ერთი მეორეს დაეჯახა ორი პრინციპი: დემოკრატიული-მორალური—ერთის მხრივ და კერძო სახელმწიფო—ეგოისტური—მეორეს მხრივ. პირველი მთელი თავისი მორალური და უკლებრივი სიძლიერით წინააღუდგა მოსკოვის ყაჩაღების პატიოსან საზოგადოებაში შეყვანას, ხოლო მეორე ვიწრო ეგოისტური მოსაზრებებით მას იცავდა. უნდა ითქვას ევროპის საზოგადოებრივი აზრი, მცირედი გამოკლებით, პირველის მხარეზე აღმოჩნდა და მოსკოვის ლიგაში შეყვანას მტრულად შეხვდა.

უკმაყოფილება ევენევაში.

ეს მტრობა განსაკუთრებით შვეიცარიის ძველმა დემოკრატიამ გამოიჩინა. ინგლისის გაზეთს «დეილი-მეილს» ევენევიდან ატყობინებენ:

«საბჭოების კანდიდატურა გარკვეულ უკმაყოფილებას იწვევს ევენევაში. ბევრი ეკითხება თავის თავს: ბოლოსდაბოლოს განა არ სჯობდა, რომ ლიგას არ დაეხია სამართლიანობის და თანასწორობის პრინციპებიდან, რომლებიც მას საფუძვლათ უდევს და რამაც ესოდენი იმედი დაუბადა მცირე ერებს? ლიგის კულუარებში ცნობილი პოლიტიკური მოღვაწეები მწუხარებას გამოსთქვამენ იმის გამო, რომ ინგლისის მთავრობა ჩაება იმ არა სუფთა ვაჭრობაში, რომლის მიზანია საბჭოების ლიგაში შეყვანა, იმ საბჭოების, რომელიც მუდამ არღვევდა გაცემულ პირობას და ხელშეკრულებას».

აღშფოთება შვეიცარიაში.

შვეიცარაის ხალხს ყველაზე მეტად აღშფოთებს ის მანევრები, რომელსაც მიმართავენ დიდი სახელმწიფოები, რათა გასტეხონ მცირე ერების სამართლიანი ოპოზიცია მოსკოვისადმი. მთელი შვეიცარიის პრესა სავსეა დიდი სახელმწიფოების პოლიტიკის კრიტიკით და ამკარათ ამხელენ მათ ეგოისტურ განზრახვებს. საქმე იქამდისაც მიდის, რომ შვეიცარიის პრესა ერთა ლიგიდან გამოსვლასაც კი მოითხოვს. ამის გამო ინგლისის მეორე გაზეთს «ნიუს-ქრონიკს» ევენევიდან ატყობინებენ:

«ევენევაში სერიოზულად ფიქრობენ ლიგის სხვა ადგილას გადატანაზე. შვეიცარიაში ეხლა, რომ მოხდეს პლებისციტი—მცხოვრებთა დიდი უმრავლესობა მხარს დაუჭერდა ერთა ლიგიდან გამოსვლას, ისე ძლიერია აღშფოთება იმ მანევრებით, რომელსაც მიმართავენ დიდი სახელმწიფოები, რათა უზრუნველყონ ბოლშევიკების ლიგაში მიღება».

აღშფოთება ინგლისში.

შვეიცარიის სამართლიან აღშფოთებას ბანს აძლევს ინგლისის თავისუფალი პრესა. სავსეა მთელი რიგი საპროტესტო წერილებით ისეთი დიდი და გავლენიანი გაზეთები, როგორიცაა: «ტაიმსი», «დეილი-მეილი», «ნ.ქრონიკლი», «მორნინგ-პოსტი» და სხ.

«მორნინგ-პოსტი» ეხება რა მოსკოვის ლიგაში შესვლის საკითხს და დიდი სახელმწიფოების მიერ თავის თავზე საბჭოების პატრონაჟის აღებას—ის მიაჩნია მორალის და სამართლიანობის აბუჩად აგდებათ.

«მთელ ამ ვაკხანალიაში—განაგრძობს გაზეთი—მხოლოდ ჩაგრულ საქართველოს გმინვის ხმა გაისმა, რომელიც ნიღაბს ხდის საბჭოების ორპირობას. გუშინ ჩვენ მოვათავსეთ პროტესტი საქართველოს ყოფილ ელჩის პარიზში. 1921 წელს საბჭოთა ხელისუფლებამ ომის გამოუცხადებლად დაიპყრო საქართველო. ერთა ლიგა აღშფოთებული იყო პატარა ერის სამღვთო უფლების ასე უხეშათ დარღვევით. ამაზე ლიგამ პროტესტი განაცხა, მიიღო რეზოლუციები, მოწოდებით მიმართა მსოფლიო საზოგადოებრივ აზრს, მაგრამ უშედეგოდ დარჩა. საბჭოებმა ჩაიდინეს სხვა დანაშაულიც: გააუქმეს ქრისტიანული სარწმუნოება, აღადგინეს ბატონყმობა, შეგნებულად, გამოიწვიეს საშინელი შიმშილი უკრაინაში. და აი თუ ასეთი ქვეყნის ლიგაში შესვლა ამ უკანასკნელისათვის სასარგებლოა—დაასკვნის გაზეთი—მაშინ უნდა ითქვას, რომ ყენევის ორგანოს მდგომარეობა მართლაც საშინელი ყოფილა».

არა ნაკლებ კატეგორულად ილაშქრებს ინგლისის მეორე გაზეთი «დეილ-მეილ». ის ამბობს:

«საბჭოთა რუსეთის ერთა ლიგაში მიღება, რომელიც მთელი წლების განმავლობაში ასე უხეშად სთელავდა საერთაშორისო და საკაცობრიო იდეალებს—მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ერთა ლიგამ სამუდამოთ ზურგი აქცია იმ ბრწყინვალე პრინციპებს, რაზედაც ის იყო აგებული».

ინგლისის გავლენიანი გაზეთი და საგარეო სამინისტროს ოფიციოზი «ტაიმსი» თავის ფურცლებს უთმობს მთელ რიგ საპროტესტო წერილებს რუსეთის წინააღმდეგ. სხვათა შორის გაზეთი სწერს:

«ჩვენ ეხლა მოლაპარაკებას ვაწარმოებთ არა ყოფილი რუსეთის იმპერიის განაწამებ ხალხებთან, არამედ კომუნისტურ პარტიის პატარა ჯგუფთან, რომელმაც დაიპყრო რა ძალაუფლება, რუსეთი გადააქცია არა მარტო კომუნისტურ საცდელ მინდვრათ, არამედ მიუვალ ციხეთ მსოფლიო პროპაგანდის... რა შთაბეჭდილებას მოახდენს—დაასკვნის გაზეთი—როდესაც ეს უსინდისო ხალხი, რომელთა სავალი გზა მოფენილია დახოცილთა და წამებულთა გვამებით—შევლენ ლიგაში და დასხდებიან იმათ გვერდში, რომლებზედაც ესოდენ იმედს ამყარებს საქრისტიანო».

ამავე «ტაიმს» ყენევიდან ატყობინებენ, რომ ინგლისი იყო იმ სახელმწიფოთა რიცხვში, რომლებიც პროტესტს აცხადებდენ რუსეთის მოწვევის ბარათის პირველ ტექსტის შესახებ, როგორც მეტად ხელსაყრელი ბოლშევიკებისათვის.

(დასასრული იქნება)

მოსე ჯანაშვილი

ტფილისში გარდაიცვალა მოსე ჯანაშვილი. არა მგონია იყოს წერა-კითხვის მცოდნე ქართველი, რომ მისი ვინაობა არა ჰსმენოდეს; ნახვით კი ბევრს არავის უნახავს, რადგანაც განსვენებული კარჩაკეტილ ცხოვრებას ეწოდა: ორმოც წელიწადზე მეტი უძრავათ იჯდა ერთსადაიმავე ბინაზე მინკვიცევის ქუჩაზე ჩუღურეთის მისავალში, ძველ ავჭალის ქუჩიდან რომ ავყვეთ. თვით ის პატარა, ერთსართულიანი სახლიც აგებული იყო ისეთი ყაიდით, რომ მოსახლეს ძალაუნებურათ მყუდროობისა და განდეგილობისაკენ ჰხრიდა. ასეთებს აშენებდნენ უფრო ხშირათ ჩუღურეთში და ავლაბარში ხარფუხის მიმატებით: ქუჩიდან ასეთს სახლსა და ეზოს ჰფარავს ქვითკირის გალავანი უზარმაზარ ალაყაფით, ხოლო სტუმარმა თავისი ხლება უნდა შეუთვალოს ფუთიანი ზარის «დაგადუგით»!..

ტფილისის ბინა გამოიკეტებოდა ხოლმე ზოგჯერ ზაფხულობით და მაშინ მახლობლებმა იცოდნენ, რომ «ძია მოსე» აყრილა ოჯახით და ისვენებს თავის სამშობლო-საინგილოში, კავკასიონის მთებში შეჭრილ საუცხოვო ბაღნარ სოფელ კახში.

მოსე ჯანაშვილი სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა ჯერ კიდევ იმ დროს, როცა საინგილოში ანბანის მცოდნენი თითებზე ჩამოითვლებოდნენ. ნიჭიერ ყმაწვილს ყურადღება მიაქცია მისმა ბიძამ, სახელგანთქმულმა მწიგნობარმა და საზოგადო მოღვაწემ, ილია ჭავჭავაძის მეგობარმა მღვდელმა დიმიტრი ჯანაშვილმა (გარდ. 1905 წ. მის არქივში სოფელ კახში ინახებოდა მიწერმოწერა ილიასთან), რომლის უახლოეს ხელმძღვანელობით მიიმართებოდა მისი მეცადინეობის პირველი საფეხურები. სწავლა მოსე ჯანაშვილმა შესწყვიტა ტფილისის სასულიერო სემინარიის ოთხი კლასის დამთავრებით ოთხმოციან წლების დასაწყისში. მასუკან მოყოლებული მისი კალამი დაუღალავად ემსახურებოდა ქართულ საისტორიო მეცნიერებასა და სიტყვიერებას. მოკლე ნეკროლოგში მის თხზულებათა მარტივი ჩამოთვლაც კი შეუძლებელია.

განსვენებულის სპეციალობას შეადგენდა ქართულ საისტორიო, სალინგვისტო და საგეოგრაფიო მასალათა დამუშავება, ჩვენი ქვეყნის განვლილ ჟამთა მივიწყებულ, თუ ბუნდოვან მხარეთა გაშუქება; ამ მხრივ უსაზღვრო იყო მისი სამეცნიერო საშუალებანი: სამკითხველოები, ხელთნაწერები, მუზეუმები, პალეოგრაფიული მასალა, ხუროთმოძღვრების ნაშთები, ხალხური გარდმოცემა,—ყველა ესენი ცალ-ცალკე, ან ერთად აღებული შეადგენდნენ იმ «არიადნას ძაფს», რომლის შემწეობით მოსე ჯანაშვილი ადვილათ აკვლევდა წარსულ დღეთა გასავალ-გამოსავალს.

მოსე ჯანაშვილის სამეცნიერო ინტერესი მაინც მეტად ისტორიულ დარგს ეტანებოდა. თუმცა განსვენებულმა არ დაგვიტოვა ისტორია ჩვეულებრივ სახელმძღვანელოისა, თუ «კურსის» სახით და არც ისეთი პრაგმატიული გამოკვლევა მოგვცა, როგორც მაგალითად ივანე ჯავახიშვილის შესანიშნავი «ქარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თველი ერის ისტორია», მაგრამ ამისდამიუხედავათ მისი ღვაწლი ქართულ საისტორიო მეცნიერებაში სწორეთ რომ ფასდაუდებელია. წარსულის მკვლევარი მოსე ჯანაშვილს გვერდს ვერ აუხვევს, პირიქით სპეციალ დარგთა შესწავლისას უკანასკნელის ნაწერები საგნის გასაცნობათ აუცილებელ წყაროს შეადგენენ.

განსვენებული არ ეკუთვნოდა არცერთ მიმართულებას არც მეცნიერებაში და არც პოლიტიკაში. ის წინასწარ შედგენილ ჰაზრით არ იძიებდა მოვლენებსა და საგნებს: წარსულში იხედებოდა აწმყოდან დაშორებული, საუკუნოებში გადამალულ ამბებს ჰკრეფდა, თვითონ მთელის არსებით მათში შერეულთ წინაპართა ლანდებს ესაუბრებოდა, ვითარცა თანამედროვე... ის გვიამბობდა, გარნა არაფერს ასკვნიდა; საზოგადოებრივ ცხოვრების სურათს სარკარის სისწორით ჰხატავდა, გარნა ფერადების მიცემას გაურბოდა; ღვაწლშემოსილ მეფეთა, მღვდელმთავართა, მოწამეთა, თუ სპასპეტთა სახეებს გვიცხოველებდა, გარნა სულის შთაბერვას ერიდებოდა; ის აღვიწერდა, გარნა არა ჰთხზავდა. . ის იყო ისტორიოგრაფი ამ მცნების ნამდვილი მნიშვნელობით და აქ ბადალი არა ჰყავდა!

განსვენებული მეცნიერის შრომის მოყვარეობა და ხალისი განცვიფრებას იგვრიდნენ ყველას, ვისაც კი შემთხვევა ჰქონია მისი ყოველდღიური ცხოვრება სცნობოდა, ამიტომ არის, რომ მოსე ჯანაშვილის სამწერლო მემკვიდრეობა რიცხვუდებია: გარდა ცალკე გამოცემულ დიდ წიგნებისა და ბროშიურებისა, განსვენებულის კალამს ეკუთვნის მრავალ ჟურნალ-გაზეთებში მიმობნეული გამოკვლევანი და აღწერანი. არ არის ხანა საქართველოს ისტორიაში, რომ მისი კალამი არ შეჰხებოდეს. არა ერთი და ორი ნაწერი მან უძღვნა ქართულ სიტყვიერებას, საქართველოს გეოგრაფიას, საკათოლიკოსო ეკლესიას... ერთხანს მოსე ჯანაშვილი პერიოდულ გამოცემასაც ჰბეჭდავდა «ნაშრომის» სახელწოდებით, სადაც მხოლოდ მისი გამოკვლევანი თავსდებოდნენ. შიგა და შიგ ის არც თავის კუთხეს ივიწყებდა: ჟურნალ-გაზეთებში დასტამბულ წერილების გარდა, მან გამოაქვეყნა წიგნი «საინგილო», თუმცა ეს შრომა ბევრათ ჩამოურჩება მღვდელ დიმიტრი ჯანაშვილის «ჰერეთის აღწერას» (იბეჭდებოდა ჟურნალ «მოგზაურში», თუ მეხსიერება არ მღალატობს, ამ საუკუნის დასაწყისში).

ჯერ კიდევ რუსის მართებლობის დროს განსვენებული განწესებულ იქმნა სიონის ტაძართან არსებულ საეკლესიო მუზეუმის გამგეთ; ტფილისის უნივერსიტეტის დაარსების შემდგომ, როგორც სიონისა, აგრეთვე წერაკითხვის საზოგადოების მუზეუმიც გადატანილ იქმნენ იქ და ამ რიგად შეერთებულ მუზეუმის დირექტორად დაინიშნა ისევ მოსე ჯანაშვილი. განსვენებული პედაგოგობასაც მისდევდა: სხვა და სხვა საშვალო სასწავლებელში ის ასწავლიდა ქართულ ენასა და ისტორიას. თუ არა ვცდები, ამ ბოლო წლებში მოსე ჯანაშვილი მიწვეულ იქმნა პროფესორად უნივერსიტეტში.

ჩვენს დროში საქართველოში მომხდარ ამბავთა გამო წერილი რომ იწერება, ერთს გარემოებაზე შეჩერება აუცილებელი ხდება და აი სწორეთ ეს მინდა აღვნიშნო დასასრულს: განსვენებული ბევრ სხვათაგან გამოირჩევით თავის ყოფაქცევას არ უფარდებდა საოკუპაციო ძალაუფლების რეგვენ სურვილებს და არც მეტიჩრულ დეკლარაციებზე ხელმოწერით შეუბღალავს თვისი სპეტაკი სახელი.

შეუმჩნევლათა და წყნარათ, დამოუკიდებლათა და ღირსებით უწევდა განსვენებული საქართველოს სამეცნიერო სამსახურს მთელი ნახევარი საუკუნის მანძილზე! თავიდანვე აღებულ გეზს მან არ გადაუხვია არც ეხლა—ამ საშინელ დროში—როცა ეკლით ფენილია ყველას სავალი, მეცნიერთა გამოუკლებლივ.

საქართველოს თავგადასავალიან ისტორიის დიდ მცოდნესა და აღმწერს უბედურ წილათა ჰხვდა საკუთარის თვალით ეხილა სამშობლოს ხელახალი დამონება. უეჭველია ესევე ცოდნა მას უღვივებდა იმედსაც, რომ აწინდელ ბნელეთს ქამთაგამოზომაში შესცვლის თავისუფლების ცისკარი...

ჩ. ინგილო.

კ ა რ გ ი ს ა ქ მ ე

ქართველ ემიგრანტს საფრანგეთში ახლა ყოველგან შეხვდებით: პარიზში და მის მიდამოებში, შორეულ და ახლობელ დეპარტამენტებში—სოფლათ თუ ინდუსტრიალურ ქალაქებში. მათი ყოფა-ცხოვრების აღწერა არ ხერხდება, რადგან რამდენიმე ცდა ანკეტის მოხდენისა უნაყოფოდ დამთავრდა. პასუხს ანკეტაზე თითქმის არავინ იძლევა; ხოლო ასეთი აღწერა ყოველ მხრივ საინტერესო იქნებოდა.

ყველაზე უფრო მრავალრიცხოვანი ემიგრაცია თავმოყრილია პარიზში და მის მიდამოებში; შემდეგ დუს (Doubs) დეპარტამენტში, სოშო-ოდინკურის ინდუსტრიალურ რაიონში. ერთ დროს აქ თავმოყრილი ქართველობა ყურადღებას იქცევდა, უფრო იმ სამწუხარო ამბების გამო, აქ რომ ადგილი ქონდა; შემდეგ აქაური ქართველობა დაიქსაქსა, ბევრი აქედან სხვაგან წავიდა უკეთეს პირობების მოსანახავად, და 150 ქართველიდან დაახლოებით ახლა ამ რაიონში 50-მდე ქართველი ცხოვრობს. გარდა ორიოდე ქართველისა, რომელთაც საკუთარი პატარა სავაჭროს თუ სახელოსნოს მოწყობა მოუხერხებიათ, ყველა ქარხნის მუშაა: ყოფილი ნაფიცი ვექილები, მასწავლებლები, სამხ. პირები, სტუდენტები თუ უბრალო გლეხები და სხვ.

რა თქმა უნდა, აქაური ქართველობაც დიდათ დაინტერესებულია ჩვენი საერთო ჭირ-ვარამით, სამშობლოს ბედით და იმასთან დაკავშირებულ საკითხებით; ხოლო იმავე დროს იმათ აქვთ თავისი საკუთარი საკითხებიც, რაც იმათ, ერთად თავმოყრილთ და ერთნაირ პირობებში მყოფთ, უდგათ და საერთო ძალით მოგვარებას მოითხოვენ.

შემთხვევა მოგვეცა ამ ცოტა ხნის წინათ აქაურ ქართველობას ვსტუმრებოდით, ორი კვირა მათ წრე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში გაგვეტარებია და მათ ცხოვრებას დაახლოებით გავცნობოდით. პარიზის ემიგრაციის შინაურ საერთო ცხოვრებით გულდაჩაგრულს, ჩვენ ყოველივე იქ ნახული ისე გვეუცხოვა, ყოველივემ ისეთი კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე, რომ გვინდა ჩვენი შთაბეჭდილებანი და ორიოდე ეპიზოდი იქაური ქართველ კოლონიის ცხოვრების სხვასაც გავუზიაროთ; ვინ იცის, ამ კუთხეში თავმოყრილ ქართველ ემიგრანტების მაგალითმა შეიძლება ცოტა მაინც გაფანტოს ის მძიმე შტაბეჭდილება, თითქოს ერთად თავმოყრილ ქართველ ემიგრანტებს ერთიმეორის სიძულვილის და თრევა-გინების მეტი საზოგადოთ არაფერი მოეხერხებოდესთ და ადგილობრივი ადმინისტრაციაც იძულებული იყოს ზოგიერთ ქართველ ასოციაციის თავყრილობაზე გაძლიერებული რაზმებიც აგზავნოს ხოლმე რაიმე «უსიამოვნების» თავიდან ასაცილებლად...

ნურავინ იფიქრებს, რომ სოშო-ოდენკურის ქართველობა ერთი და იმავე პოლიტიკურ რწმენის მატარებელი იყოს და ერთ პოლიტ.-პარტიულ ორგანიზაციაში იყოს ჩამოყალიბებული; თითქმის ყველა უცხოეთში მყოფი პოლიტ.-პარტიული მიმდინარეობანი აქ წარმოდგენილი არიან ცოტათ თუ ბევრათ, და პარტიებში არსებული სხვადასხვა ტენდენციებიც. ამას თქვენ ადვილათ ტყობილობთ კერძო მუსაიფში და პარტიულ დაჯგუფებათა პოლიტიკურ საკითხებზე კამათის—და ხშირად ცხარე კამათის—დროს. მაგრამ სულ სხვაა, როცა ისინი იმ დაწესებულების მოწვევით იკრიბებიან, რომელსაც სოშოოდინკურის «ქართველთა ასოციაცია» ეწოდება და რომლის დანიშნულებაა ასოციაციის წევრთა «ნივთიერ, კულტურულ და მორალურ ინტერესებზე» ზრუნვა. წესდების თანახმად პოლიტიკურ საკითხებზე დავა ასოციაციის მოქმედების სფეროს არ შეადგენს და ფაქტიურადაც იგი ასოციაციის საქმიანობიდან სავსებით გამორიცხულია. «პოლიტიკამ თუ ჩვენ დაგვყო, დაგვთიშა—მეუბნებოდენ აქაური ქართველები—ასოციაციამ მაინც უნდა გაგვაერთიანოს ყოველივე იმაში, რამაც ჩვენი მძიმე ემიგრანტული ცხოვრება უნდა შეგვიმსუბუქოს; ასოციაცია უნდა გვაერთიანებდეს ყველას, როგორც ერთ ბედს ქვეშ მოქცეულთ. პოლიტიკაზე კი ასოციაციის გარედაც შეგვიძლია დავა, ამას არავინ გვიშლის» ო. ერთად ერთ პოლიტიკურ მოთხოვნილებას უყენებს ასოციაცია თავის წევრებს და ეს წესდებაშიც აღნიშნულია: ასოციაციის წევრად მხოლოდ ისინი მიიღებიან, ვინც სცნობს საქართველოს დამოუკიდებელ დემოკრატიულ რესპუბლიკას. პარტიულ ნეიტრალობას ასოციაციის ფარგლებში და ზრუნვას (ზრუნვას რეალურს და არა მხოლოდ ქაღალდზე აღნიშნულს) იმ საქმეებზე, რაც ასოციაციას თავის პროგრამაში ჩაუწერია და რაპაც როგორც ასოციაციის ხელმძღვანელნი, ისე ყველა წევრნი ასოციაციისა სასტიკად იცავენ, შეუქმნია ის ატმოსფერა და ის ფრიად სიმპატიური საქმე, რომლითაც აქაურ ქართველ ემიგრანტებს შეუძლიათ იამაყონ.

კითხეთ ამ კუთხეში მცხოვრებ ფრანგს თუ უცხოელს, მან უსათუოდ იცის ქართველთა ასოციაციის ბინა, სასადილო და სამკითხველო. აქაურ ასოციაციის საკუთარი კოპწია ბინა, აგებული საკუთარ მიწაზე, მართლაც მშვენიერი შთაბეჭდილებას ახდენს საქართველო რაიონისთვის ჩვეულ აფარებელ კერძო კაფეებსა და წვრილ სავაჭრო-სასტუმროთა შორის. სახლზე საქართველოს გერბია გამოჭრილი და აქა-იქ ფრანგული წარწერები: ქართველთა ასოციაცია: სასადილო, საკრებულო, ბიბლიოთეკა. სახლს გვერდით აკრავს პატარა ბოსტანი, წინ კოპწია, წმინდა ეზო, სადაც ქარხნიდან გამოსული ქართველი მუშა მოეშურება ამბების გასაგებათ, მეგობრებთან სამუსაიფოთ, გაზეთის წასაკითხათ და სხვ. ეს ნამდვილი საკუთარი კერაა, ოჯახია, ყველა აქაურ ქართველს რომ შეყვარებია...

ასოციაციის წლიური საზოგადო კრებაა (22 ივლისი); დღის წესრიგშია: 1) წლიური ანგარიშის განხილვა და დამტკიცება, 2) გამგეობის და სარევიზიო კომისიის არჩევნები. ცხარე კამათს მოველი, აქაც არის ხომ პოზიცია და ოპოზიცია პოლიტიკურ ხაზით დარაზმული... ირჩევენ თუ არა კრების თავმჯდომარეს და მდივანს, ეს უკანასკნელი ასოციაციის წევრთა სიას კითხულობს და აღნიშნავს თუ ვინ დაესწრო კრებას და ვინ რა მიზეზით არ დასწრებია: ასოციაცია გრძნობს პასუხისმგებლობას და ამიტომ უნდა იცოდეს საკითხების გადაწყვეტაში ვინ იღებდა სახელდობ მონაწილეობას. შემდეგ ხდება ახალი წევრის მიღება; ეს ხდება თანახმად ფორმალურ განცხადებისა და გამგეობის დასკვნის შემდეგ თვით საზოგადო კრების მიერ. გამგეობის თავმჯდომარე აკეთებს მოხსენებას საერთოდ გამგეობის მუშაობისა და კერძოთ სასადილოს შემოსავალ-გასავალის შესახებ; მოხსენება შინაარსიანია, რადგან ნამდვილ რეალურ საქმეს შეეხება. ხაზინადარი მოახსენებს წევრთა რაოდენობის მსვლელობას ასოციაციაში, მათ მიერ შემოტანილ გადასახადის რაოდენობას და ამ თანხიდან გაწეულ ხარჯებს; სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე მოახსენებს კომისიის დასკვნას.

მესამე წელიწადია, რაც ასოციაცია ოდინკურიდან (ოთხი კილომ. მანძილზე) სოშოში გადმოვიდა, რადგან ქარხნების პატრონმა ბ. პეჟომ აქ მოაწყო ახალი ქარხნები და ქართველი მუშებიც აქ გადმოიყვანა. ოდინკურში ქარხნის პატრონი უფასოდ უთმობდა მუშებს ბინას სასადილოს მოსაწყობათ, ახლა კრიზისის გამო ეს არ მოხერხდა. ამიტომ ქართველთა ასოციაციამ გადასწყვიტა საკუთარი სახლის შენება (ეს იყო ივნისში 1931 წ.), იგი გაადიდა და შესაფერისად მოაწყო. არავინ მას ამ საქმეში ერთი სანტიმით არ დახმარებია, იმას ასოციაციის წევრთა ნაოფლარ სანტიმებით ჩაეყარა საფუძველი, ნაწილი ისესხეს და ვალს თანდათან სასადილოს შემოსავლიდან იხდიან. სულ ასოციაციის მიწა და შენობა დამჯდარა დაახლოებით 105 ათასი ფრანკი (სხვაა კიდევ მისი მოწყობილობა); აქედან ახლა ვალათ არის დარჩენილი კიდევ დაახლ. 41 ათასი ფრ., დანარჩენი კი უკვე ამ ორ ნახევარ წლის განმავლობაში გაუსტუმრებიათ.

ასოციაციის წესდების მე-8 მუხ. დამატების თა-

ნახმად მთელი ეს ქონება (აკტივი) ასოციაციის ლიკვიდაციის შემდეგ დარჩება საქართველოს სახელმწიფოს (დემოკრ. რესპუბლიკას), როცა იგი თავის სუვერენობას აღადგენს.

სასადილოს ჰქონია წმინდა შემოსავალი: პირველი წლის რამდენიმე თვის განმავლობაში 4053 ფრ., მეორე წელიწადს—20.731 ფრ. და ამ უკანასკნელ, მესამე წელიწადს უკვე—27.332 ფრანკ. ყველა ეს ფული ვალის დასაფარავად არის გადარიცხული. ასოციაცია იმის ცდაშია, რომ ჯერ ვალი გაისტუმროს, ცოტათი ბინა გაადიდოს და შემდეგ უკვე მისთვის ჩვეულ დახმარებებს და კულტურულ საქმეს მოახმაროს მთელი შემოსავალი.

ასოციაციის სასადილოში ახლა 150-მდე კაცი სადილობს დღეში; უმეტესობა, რა თქმა უნდა, უცხოელებია, რადგან ქართველების რიცხვი, როგორც ვსთქვით, სულ 50-მდეა მთელ რაიონში. ბევრ საზოგადო-კოოპერატიულ სასადილოს ვიცნობდი და, უნდა ვსთქვა, სოშოს ასოც. სასადილო თავის სიმაღლეზე დგას—სისუფთავის, საჭმლის სისაღის და სიუხვის და მორთმევის სისწრაფის მხრივ (მუშისთვის ამ უკანასკნელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს); ფასებიც ხელმისაწდომია. ამით აიხსნება, რომ უცხოელებიც იმას ეტანებიან.

არავითარ უსაფუძვლო და მწვავე კამათს საზოგადო კრებაზე ადგილი არ ჰქონებია, რაც ჩვენთვის უჩვეულო ამბავია; ადგილი ჰქონდა მხოლოდ ერთ პატარა ინციდენტს და ასეთი ხასიათის ინცინდენტიც მეტად უჩვეულო ამბავი იყო ჩვენთვის, პარიზის ასოციაციის წევრისთვის. კრების თავმჯდომარე წერილობითი შეკითხვას იღებს და იმას ხმამაღლა კითხულობს: «რა დროიდან შემოვიდა წესად, რომ ასოციაციის კრებას არაწევრიც ესწრებოდეს»—სწერს შემკითხველი. «განა არის ვინმე კრებაზე, სტუმრების გარდა, არაწევრიც?»—კითხულობს თავმჯდომარე. «მე გახლავართ»—ამბობს ერთი ახალგაზდა, დგება და გულნატკენი კრებას სტოვებს. მეწყინა, იმ ახალგაზდას ვიცნობ: «რამე არამორალური ხომ არ ჩაუდენია»—ვიკითხე. «არაო, ამიხსნეს: ვინც სამი თვის განმავლობაში საწევრო გადასახადს არ შემოიტანს, იგი მექანიკურად ირიცხება საზოგადოებიდან, ასეთი დაუდევრობა არავის ეპატიება; იმ ყმაწვილსაც ეს ბრალი მიუძღვის; წესდება იმიტომ არსებობს, რომ ყველა, ვისაც ასოციაციაში ყოფნა სურს, იმას უნდა ასრულებდეს...» სასტიკი განაჩენია, მაგრამ სწორი და ამიტომ იგი არავის იქაურს არ ეუცხოვა (დარწმუნებული ვარ ის ახალგაზ დაც გამოასწორებს ამ ჩვენებურ დაუდევრობას); ეს გვეუცხოვა მხოლოდ ჩვენ, პარიზიდან ჩასულ სტუმრებს!

ანგარიშის თანახმად წლის ბოლოს «ნედოიმკათ» მხოლოდ 99 ფრ. საწევრო გადასახადი ითვლებოდა და საერთო კრების მოწვევამდის, როგორც მითხრეს, იგიც თითქმის სულ შემოტანილი იქნებოდა.

არჩევნებია. გამგეობა მთლიანად აცხადებს გადადგომის სურვილს. «ახლა სხვები აირჩიეთ, სხვებიც მიეჩვიონ საქმის გაძღოლას, იქნება იმათ უკეთესადაც წაიყვანონ საქმე»—აი მათი მოტივი; ხოლო სარეკომენდაციო კომისია მაინც იმავე პირებს ასახელებს, თუმცა ისინი ყოველი საანგარიშო წლის დამლევს თავს გადამდგარათ სთვლიან და არა უგვიანეს ორი კვირისა ვადის გასვლის შემდეგ საზოგადო კრებას, ასე ვსთქვათ, ნდობის საკითხს უყენებენ. მაგრამ კრება მაინც იმათვე ირჩევს, ცოტაოდენი ცვლილებით თვით გამგეობის წევრის დაჟინებით მოთხოვნის გამო.

მართლაც, რატომ უნდა შეიცვალოს, მაგალითად, თავმჯდომარე (ვლ. ბაქრაძე), აგერ ცხრა წელიწადია თითქმის რომ ასოციაციას სათავეში უდგას, დახელოვანდა იმის გაძღოლაში, ქარხნების დირექციის ნდობით არის აღჭურვილი, ადგილობრივ თვითმართველობასთან და ადმინისტრაციასთან კარგ განწყობილებაშია, ყველას იცნობს და ყველა მას პატივსა სცემს, ასოციაციის წევრნიც და უცხოელებიც; რატომ უნდა შეიცვალოს გამგეობის წევრი (მაგ., მ. ნადაშვილი), არაფრიდან რომ მშვენიერი ბიბლიოთეკა მოუწყვია და იმაზედ დაუღალავად ზრუნავს (ბიბლიოთეკის დარბაზი შემკულია ქართველ დიდ მწერალთა (თითქმის ყველასი) და მოღვაწეთა მშვენიერ სურათებით, 910 ცალი წიგნი შეუძენია, მოდის ქართული, ფრანგული და რუსული ჟურნალ-გაზეთები); რატომ უნდა შეიცვალოს სასადილოს გამგე (ვარდ. ჩხიკვიშვილი), განთიადიდან შუაღამემდის ყველას რომ თავს დასტრიალებს, როგორც ერთგული და გულღია მასპინძელი; რომელი გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრია შესაცვლელი, რომ ამ ხნის განმავლობაში გამოცდილებით აღჭურვილან, ეს მშვენიერი საქმე შეუქმნიათ და იმას უანგაროთ ემსახურებიან. სულ სხვა იქნებოდა, რომ ჟინს, მიკერძებას, «პარტიობას» და სხვ. აქ ადგილი ჰქონდეს; და ასოციაციის წევრთ რომ ეს დავიწყებოდათ, ესეც უნდა ითქვას, გამგეობა ვერაფერს გახდებოდა.

ამ რაიონში თავმოყრილ ქართველ ემიგრანტებში, მიუხედავათ მათი პოლიტ.-პარტიულ განსხვავებისა, უსათუოდ მეტი სითბო და ურთიერთ დახმარების გრძნობა და პატივისცემა არსებობს ახლა, რაც ასე ესაჭიროება ემიგრანტულ ყოფა-ცხოვრებას, ვინემ სადმე სხვაგან. როცა ჩვენი იქ ყოფნის დროს ერთი ახალგაზდა (ბ. ა—ია) უეცრად მძიმე ავათ გახდა, ყველა ფეხზე დადგა, «ოჯახი» აწრიალდა; მგონი ის ასოციაციის წევრიც არ არის; მერე ვინ კითხულობს ამას? ზოგი ავტომობილს დაეძებს, ზოგი ექიმთან გარბის, ზოგი ავათმყოფს თავს დასტრიალებს, ზოგი მისთვის ფულს აგროვებს... ნახევარ საათში ასოციაციის თავმჯდომარე და გამგეობის ერთი წევრი მას კალთაში იჯენენ და ბელფორის საავათმყოფოში მიაქანებენ...

ეს სითბო, ეს სიყვარული იმ საფლავებსაც ატყვია, იქ რომ უდროოდ არის გათხრილი (6 თუ 7, ყველა ქ. მონბელიარის სასაფლაოზე; ყველას ძეგლები ადევს (ორისთვის ჯერ ვერ მოუსწრიათ) ზედ წარწერით: «ქართველთა ასოციაციისაგან»; კვირა-უქმე დღეს ხან ერთი, ხან მეორე მიდის იმ საფლავების

ეროვნული ბიბლიოთეკა

სანახავად და გასასუფთავებლად, ხოლო წელიწადში ერთხელ მთელი ასოციაცია იქ თავს იყრის მათ მოსაგონებლად.

ქართველების გარდა ამ რაიონში მრავალი ათასი უცხოელია, ყველა კერძოთ ქართველებზე მრავალრიცხოვანი: იტალიელები, პოლონელები, რუსები, უკრაინელები, იუგოსლავები და სხვ. არც ერთს იმათგან ასეთი საქმე ვერ მოუწყვიათ; ბევრი იმათგან სარგებლობს ქართველთა ასოციაციის სასადილოთი და ბინით—კრების, კონცერტის და წარმოდგენის მოსაწყობათ, ბევრი საპატიო სტუმრის მისაღებადაც (მიამბეს, მაგალ., როცა იუგოსლავიის მინისტრი ესტუმრა აქ თავის თანამემამულეთ—600 კაცია—, ამათ მიღება თავის მინისტრს ქართველთა ასოციაციის ბინაზე მოუწყვეს). ბევრი უცხოელი უსათუოდ შურითაც შეყურებს აქაურ ქართველებს, მაგრამ ყველას თვალში სოშო-ოდინკურის ქართველთა ასოციაცია დასახულია, როგორც ასოციაცია კულტურულ ერის პოლიტიკურ ემიგრანტების და იგი სამაგალითო ორგანიზაციათ არის მიჩნეული.

ასეთია საქმიანობა ქართველ ემიგრანტთა ამ პატარა ასოციაციის. მათ მიერ გაკეთეზული საქმე თავის მასტაბით არ არის დიდი, მაგრამ იგი დიდია და მშვენიერი თავის ღირსებით, წესებით და მიმართულებით; ამ მხრივ ძალიან კარგი საქმეა გაკეთებული. და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ აქაური ასოციაცია კიდევ უფრო მეტს მიაღწევს თავის წევრთა ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებლად და ქართველ პოლიტიკურ ემიგრანტის სახელის ასამაღლებლად, თუ იგი აღებულ ხაზს აღარ უღალატებს.

—

როცა მე და ჩემი მეგობარი, აგრედვე პარიზიდან ჩასული, ერთმანეთს ვხვდებოდით, ერთიმეორეს იქ მხოლოდ იმაზე ვლაპარაკობდით: რატომ არ მოხერდა, რომ ასეთი წესები, ასეთი შეგნება საერთო ინტერესების, იმის, რაც ყველას გვაერთებს და არა გვთიშავს, ასეთი საქმიანობა ურთიერთ გაგების და ურთიერთ დახმარების ნიადაგზე სხვაგანაც და კერძოთ პარიზის ასოციაციაში დამყარებულიყო; რატომ არ მოხერხდა? პარიზში ხომ მეტი ემიგრანტია თავმოყრილი, მეტი შესაძლებლობაა კულტურულ მუშაობის, მეტი ასპარეზია სხვა და სხვაგვარ საქმიანობის. ასეთი წესები რომ პარიზის ასოციაციაში დამყარებულიყო, ასეთი საქმიანობა რომ მას აქტივში ჰქონდეს, ამ ასოციაციის კრებებზე წარმოთქმულ ზოგიერთ სიტყვებს მეტი ფასი ექნებოდა და ახალ საპასუხისმგებლო საქმეების მის მიერ მოთხოვნა მაშინ უფრო საფუძვლიანიც იქნებოდა...

ბ. ბ.

ვის საქმეს აკეთებენ?

ზოგიერთ ემიგრანტულ დაჯგუფებებს მეტად ცუდი ზნე დასჩემდა; ცუდი და ჩვენი ეროვნულ საქმისთვის უაღრესად მავნებელი. იმ დროს, როდესაც ჩვენი ქვეყანა მტერს უკავია, როდესაც მისი მიწა-წყალი მარცხნივ და მარჯვნივ საჩუქრებათ რიგდება დღევანდელი საოკუპაციო ხელისუფლების წყალობით, როდესაც ქართველი ხალხის ნივთიერი და სულიერი კულტურა ნიავდება სასტიკი მტრის მიერ და თვით ხალხს ფიზიკური გადაშენების საფრთხე უდგას თვალწინ, კიდევ მოიპოვებიან ისეთი ემიგრანტული დაჯგუფებანი, რომელნიც მთელ თავის ენერგიას ხარჯავენ ქართულ ეროვნული ცენტრის წინააღმდეგ ბრძოლაში, იმ ეროვნულ ცენტრის, რომელიც დღიდან თავის გაჩენისა ერთად ერთ მიზანს ემსახურება: ხელი შეუწყოს ქართველი ერის გმირულ განმათავისუფლებელ ბრძოლას როგორც იქ—საქართველოში—, ისე აქ—უცხოეთში.

ასეთ დაჯგუფებათა ბეჭდვითი ორგანოებში ასში ერთხელ ვერ წააწყდებით ისეთ წერილს, რომელიც არკვევდეს და აშუქებდეს ჩვენი ეროვნულ ბრძოლის საკითხებს; ასში ერთხელ ვერ იპოვით ისეთ გამოსვლას, რომელიც ოკუპანტების წინააღმდეგ იყოს მიმართული; სამაგიეროთ უხვათ იხარჯება ქაღალდი და მელანი პოლიტიკურ პარტიათა იმ გაერთიანების წინააღმდეგ, რომელიც მთელი თავისი შეძლებით ებრძვის საქართველოს დღევანდელ საოკუპაციო ხელისუფლებას. ასეთი საქმიანობით სხვათა შორის ისახელა თავი «საქ. გუშაგის» ირგვლივ შემოკრებილმა ჯგუფმა—სპ. კედიას მეთაურობით. «საქარ. გუშაგი» დიდი ხანია გადასცდა ყოველივე საზღვარს. მისი კილო და წერის მანერა იმდენად უღირსია, რომ არ შეიძლება აღშფოთება არ გამოიწვიოს ყველა მიუდგომელ ადამიანში, რომელ დაჯგუფებასაც არ უნდა ეკუთნოდეს ეს უკანასკნელი. შეიძლება მოპირდაპირის აზრი დაიწუნო, მიუდგომლად გააკრიტიკო,—ასეთი კრიტიკა საჭიროც არის და სასარგებლოც,—მაგრამ ცილის წამებითა და ინსინუაციებით ბრძოლა კი უღირსი და მავნე საქმეა.

ბ-ნი ს. კედია და მისი მცირე რიცხოვანი ჯგუფი მთელი წლების მანძილზე აწარმოებენ ასეთ ბრძოლას ჩვენი ეროვნულ პარტიათა გაერთიანების წინააღმდეგ, მაგრამ ჩვენს გაზეთს ერთხელაც არ დაუძრავს კრინტი მათ საპასუხოთ. ჩვენი წამებული ქვეყანა და მასთან ერთად მისი ემიგრაცია ისეთ მდგომარეობაში ვიმყოფებით, რომ ურთიერთ შორის ჯგუფურ და პარტიულ ანგარიშების გასწორება, პოლიტიკური მოპირდაპირის ლაფში ამოსვრა, ინსინუაციებისა და ლანძღვა-გინების გადმონთხევა დიდ ბოროტებათ უნდა ჩაითვალოს, რადგან იგი ჩვენი ქვეყნის მტრის საქმის გაკეთებას უდრის. «საქარ. გუშაგი»-ს კალმოსნებმა ეს ანბანური ჭეშმარიტება დღემდე ველარ შეიგნეს და იძულებული გვყვეს ჩვეულებრივი სიჩუმე დაგვერღვია. მაგრამ ეს არა იმისთვის, რომ არსებით კამათში ჩავებათ იმ ხალხთან, რომელთა არგუმენტებს ინსინუაციების სუნი უდის. ამ

ორიოდე სტრიქონის მიზანია ერთხელ კიდევ განვუმარტოთ ემიგრაციას თუ ვის წისქვილზე ასხამს წყალს—შეგნებულად თუ შეუგნებლად, ეგ სულ ერთია,—იმ გვარი გამოსვლები, რანაირსაც ადგილი აქვს ხსენებულ ორგანოს ფურცლებზე.

ქართულ პოლიტიკურ პარტიათა გაერთიანებას, რომელსაც ეროვნული ცენტრი ეწოდება, გააფთრებული ებრძვიან ყველა უდირსი საშვალებებით მოსკოვი და მისი აგენტები. უკანასკნელთა მიზანია ამ ცენტრის დარღვევა, ემიგრაციის გახრწნა და საქართველოს მებრძოლ ძალების დასუსტება როგორც შინ, ისე გარეთ. ამ მიზნით მოსკოვი მილიონებს ხარჯავს. მაგრამ განზრახვა დღემდე მიუღწეველი რჩება. ეროვნული ცენტრი მტკიცედ სდგას ქართველი ერის სადარაჯოზე, იგი დაუღალავად მუშაობს ქართველი ხალხის მტრის წინააღმდეგ და ამ მუშაობის შედეგი არა ერთხელ მოხვედრია მწარე ისრათ ჩვენი ქვეყნის ოკუპანტებს.

ამავე ეროვნულ ცენტრს ჭორებით და ცილისწამებით ებრძვიან «საქარ. გუშაგი»-ს მესვეურნი. სპ. კედიას ჯგუფი, მისი ბეჭდვითი ორგანო და მოსკოვის მოყიდული აგენტები ერთ წერტილში ურტყამენ. ეს ისე ნათელი, ისე ცხადი და ადვილი დასანახია, რომ მისი არ დანახვა ბრმასაც კი არ ეპატიება; მას ვერ ხედავენ მხოლოდ ჯგუფური ინტერესებით დაბრმავებული პოლიტიკანები.

ის, ვინც ებრძვის საქართველოს განმანთავისუფლებელ ბრძოლაში ჩაბმულ რაზმებს,—სულ ერთია შინ თუ გარეთ,—იგი ებრძვის ქართველ ხალხს და დახმარებას უწევს ჩვენს ქვეყანაში მოკალათებულ ბარბაროსულ საოკუპაციო ხელისუფლებას. ეს ანბანური ჭეშმარიტება კარგად უნდა ახსოვდეს ყოველ ქართველს და განსაკუთრებით იმას, ვინც პატრიოტობას იჩემებს და საქართველოს გუშაგის სახელს ითვისებს.

—

რედაქციამ მიიღო გერმანიაში მყოფ ქართველებისაგან მეტად საყურადღებო მიმართვა ქართველ ემიგრანტების მიმართ ერთობისა და მთლიანობისათვის. სამწუხაროთ იძულებული ვართ უადგილობისა გამო მისი დაბეჭდვა გადავდვათ შემდეგი ნუმრისთვის.

სომხები და ქართველები

ბ. ჯემალიანის სიტყვა, წარმოთქმული სომხეთის დამოუკიდებლობის დღეს, რომელიც ჩვენი გამოცემის 102 ნუმერში დაიბეჭდა, უეჭველად მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენაა. იგი სრულს კმაყოფილებას გამოიწვევს ყოველ ქართველში აქ ემიგრაციაში და იქ, საქართველოშიც. დარწმუნებული ვართ, ასეთსავე შთაბეჭდილებას მოახდენს ეს სიტყვა სხვა კავკასიელებზედაც, რომელთაც კარგად აქვთ შეგნებული კავკასიის ერთობის ღირებულება, გულწრფელად მუშაობენ მისთვის და მტკიცედ სწამთ, რომ ადრე იქნება თუ გვიან ეს ერთობა განხორციელდება. ბ. ჯემალიანის სიტყვას განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა ნამეტურ კავკასიის პაქტის ხელისმოწერის და გამოქვეყნების შემდეგ.

ჩვენ გვითქვამს და ახლაც განვიმეორებთ, რომ კავკასიელ ერთა შეკავშირებისა და გაერთიანებისათვის არა კმარა მარტო თეორიული პროპაგანდა და კეთილი წადილის დეკლარაცია. საჭიროა, რომ პრაქტიკულ, აგრე ვსთქვათ საქმიან კავშირს წინ უსწროდეს ფსიქიური დაახლოვება ერთმანეთთან, ერთმეორის წარსული და აწინდელი სახელობის გაცნობა, ურთერთის გაგება, გარკვევა და გაფანტვა ყველა იმ გაუგებრობისა და უსიამოვნებისა, რომელსაც ადგილი ჰქონდა და აქვს მეზობელ ერთა შორის და აგრეთვე ხაზგასმით აღნიშვნა იმ თანამშრომლობისა და მეგობრობისა, რომელიც იყო წინად.

ყოველს კავკასიელს უნდა ახსოვდეს მუდამ, რომ შეიძლება კავკასია, როგორც პოლიტიკური მცნება, ახალია, ახალია თვით კავკასიის კონფედერაციის იდეაც, მაგრამ ახალი არაა კავკასიელ ერთა საერთო მოქმედება, საერთო ბრძოლა, შეთანხმებული გამოსვლები, ერთმანეთის დახმარება, კეთილი მეზობლობა. ბ. ჯემალიანმა ყურადღება მიაქცია თავის სიტყვაში სომეხ-ქართველთა მეზობლობას და სამართლიანად ამბობს, რომ ამ ორ ერის ურთიერთობა იშვიათი მოვლენაა ისტორიაში. სამწუხაროთ დღემდის არ მოგვეპოვება დალაგებული ვრცელი გამოკვლევა ამ დამოკიდებულობის, მაგრამ რაც მოგვეპოვება ჩვენს მატიანეში, ესეც საკმაოა იმის გასაცნობად, თუ რა მჭიდრო კავშირი და ურთიერთობა ჰქონდათ სომხებს და ქართველებს. პირველ საუკუნოებში, როდესაც სომხეთი ძლიერი სახელმწიფო იყო, იგი ხშირად მძლავრობდა საქართველოზე. მაგრამ როგორც უფრო დაწინაურებულმა, დიდი კულტურული დახმარება გაგვიწია და იყო პირველი გზა ქრისტიანულ განათლების გასავრცელებლად ჩვენში. შემდეგ როცა მთელ კავკასიაში პირველობა ქართველების ხელში გადავიდა, ქართველები მუდამ დამხმარენი და მფარველნი იყვნენ სომხების; სომხეთის დიდი ნაწილიც საქართ. სამეფოს ფარგალში მოექცა, და ეს დრო იყო სომხური კულტურის აყვავების ერთი საუკეთესო ხანათაგანი. პირდაპირ არაჩვეულებრივი სიყვარულით და კეთილგანწყობილებით ეპყრობოდენ ქართველთა მეფეები სომხებს, განსაკუთრებით პატივს სცემდენ სომხის სამღვდელოებას. სხვათა შორის ერთი სომხურ-ქართული ისტორიული დოკუმენტი ასე მოგვითხრობს დავით აღმაშენებელზე: «მას უყვარდა სომეხთა ნათესავი და ეკლესიები და ვინმე რიტორი, მოძღვარი ახპატს, სახელით სარკავაგ; აღუარებდა მას დანაშაულთ და მოუხრიდა რა პატიოსანსა თავსა, ლოცვა-კურთხევას იღებდა მისგან. დაჯდებოდა მასთან და ეხვეოდა კისერზე, იგი კი ეტყოდა: «განრღვეული და აყროლებული ვარ მოხუცებულობისაგან. მომშორდი, რათა არა გადაგედოს სადები». და მეფე ეხვეოდა და ეტყოდა: «არა მომაკლდეს სიმყრალე ესე, მამაო პატიოსანო». და მონასტრის მახლობლად უბოძა მას სოფელი მისდა სამსახურად. და როდესაც აკურთხებდა მეფესა, დაადებდა მას ხელსა და იტყოდა: «ვპოე და-

ვით მონაჲ ჩემი და საცხებელი წმინდაჲ ჩემი ვცხე მას...» და უხაროდა მეფესა და აქებდა სომხურს მშვენიერს თარგმანს».

მაგრამ ამასთანავე თვითონ სომხები იშვიათის ერთგულობით და მეგობრობით ეპყრობოდენ საქართველოს და ქართულს საქმეს—მის პოლიტიკურ გაძლიერებას და კულტურულ დაწინაურებას უყურებდენ როგორც საკუთარს საქმეს და ჩვენს ისტორიას მრავალი სომხის გვარი ამშვენებს როგორც სახელმწიფოებრივ ისე საგანმანათლებლო სარბიელზე და ეს გაგრძელდა თითქმის მეცხრამეტე საუკუნის უკანასკნელ მეოთხედამდე, როცა სომეხ ქართველთა ურთიერთობა ცოტათი აიმღვრა, რამდენ სომეხს მოვსწრებივართ ჩვენ თვითონ, რომლებიც ღირსეულად მოღვაწეობდენ ქართული საზოგადოებრივობისა, მწერლობისა, თეატრისათვის! იყვნენ სომხები საქართველოს ნამდვილი პატრიოტები!

ქართველებს არასოდეს შეგვიძლია ამის დავიწყება, როგორი არანორმალურიც არ უნდა იყოს ხანდახან ჩვენი ერთმანეთთან დამოკიდებულება. არ უნდა დავივიწყოთ სომხებმა და ქართველებმა ეს განსაკუთრებით დღეს, როცა ჩვენი ქვეყნები უკიდურეს განსაცდელშია, როცა წინ იმდენი საერთო საქმე გვაქვს, როცა თვითეულის ჩვენთაგანის ბედი მეორეს ბედზეა გადაჯაჭვული. კავკასიის კავშირი თუ საჭიროა და აუცილებელი, ხომ ცხადია, რომ სომხეთი და საქართველო ამ კავშირის განუკვეთელი და უმთავრესი ელემენტებია და მათი ერთმანეთთან დაახლოვება და ერთობა ნიშნავს თითქმის მთელი კავკასიის შეთანხმებას და ერთობას. სრულებით საჭირო არაა პოლიტიკაში რომანტიკოსები ვიყოთ: სომეხ-ქართველთა მეზობლობაში დღეს არის ზოგირამ უთანხმოება და სადავო. ამას ნუ დავმალავთ. ბევრია დაბრკოლება და ხელის შემშლელი გარემოებაც გარეგანი, ჩვენი ბედის გადაწყვეტა მარტო ხომ ჩვენს ხელში არაა, ხოლო ყოველივე დაძლეული იქნება და ყოველი დაბრკოლება გადალახული, თუ აღვიჭურვებით მტკიცე ნებისყოფით და ერთობის ურყევი გადაწყვეტილებით და არასოდეს განვშორდებით იმის შეგნებას, რომ სომხებს და ქართველებს შეგვეძლო და შეგვიძლია დღესაც ერთმანეთთან თანამშრომლობა, გვქონდა და გვაქვს ერთობის და კავშირის უნარი.

თავში ვთქვით, რომ ბ. ჯემალიანის სიტყვა პოლიტიკური მნიშვნელობის მოვლენაა. ქართველებს გვესმის, კარგად გვესმის სომხების განსაკუთრებული მძიმე მდგომარეობა. კავკასიის გაერთიანება მათვისაც ყოველთვის პრინციპიალურად უდავო იყო, ხოლო მისი განხორციელების მომენტი და სხვა გარემოებანი იწვევდენ მათში ერთგვარ ყოყმანობას, სიფრთხილეს. საჭიროა საკითხის მეტი მომწიფება, ზოგ მდგომარეობის გარკვევა, შეცვლა, შეიძლება, ეს ყველაფერი ჯერ კიდევ შესრულებული არაა, მაგრამ ბ. ჯემალიანის სიტყვა მოწმობს, რომ ახლოვდება დრო, როცა სომხები მჭიდროდ ამოუდგებიან გვერდში დანარჩენ კავკასიელებს და ყველასთან ერთად გაუძღვებიან საერთო საქმეს—კავკასიის ერების განთავისუფლებას და მათი კავშირის დამყარების საქმეს.

ჩვენ—როგორც ძველი გულითადი მეგობარი სომხებისა—სრული სიხარულით ვეგებებით ამ დღის მოახლოვებას.

ს. ფირცხალავა.

წერილი ხარბინიდან

ამა წლის 17 ივნისს მოხდა ხარბინის ქართველთა საზოგადოების წლიური კრება, რომელსაც თითქმის გამოუკლებლად დაესწრენ საზოგადოების წევრები. ამ კრებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ქონდა, ვინაიდან წლის განმავლობაში საზოგადოების ფარგალში წამოიჭრა ბევრი საჭირბოროტო საკითხი, როგორც ფინანსიური ეკონომიური ხასიათის, აგრეთვე კულტურულ-განმანათლებელი და ეროვნული მნიშვნელობის. ამ რთულ და საპასუხისმგებლო კითხვებმა საზოგადოების წევრთა დიდი ყურადღება და აქტივობა გამოიწვია. კრებამ გასტანა განუწყვეტლათ 8 საათი და წამოყენებული კითხვები დიდი ინტერესით იქნა მოსმენილი და გარჩეული.

საერთო კრებას თავმჯდომარეობდენ ხან ივლიანე ხაინდრავა, ხან მისი თანაშემწე ვახტანგი ქუთაისოვი. გამგეობის წლიურ მოღვაწეობაზე ვრცელი მოხსენება გააკეთა თავმჯდომარე—ექიმმა ჯიშკარიანმა, რომელმაც დაწვრილებით გააცნო საერთო კრებას ყველა ის კითხვები, რომელთაც ასე თუ ისე მნიშვნელობა ქონდათ საზოგადოების ცხოვრებაში. კრების განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია შემდეგმა კითხვებმა:

1. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ გამგეობის დიდი ენერგია და შრომა მოინდომა ახალი, მეორე სახლის გაშენებამ. საზოგადოების დიდი სურვილი იყო თავისუფალ ეზოს ნაწილში გაშენებულიყო სახლები, მაგრამ არა ხელსაყრელი გარეშე პირობები და აგრეთვე საკუთარი ნივთიერი უქონლობა ხელს უშლიდენ ეს სურვილი განხორციელებულიყო. თუმცა ნივთიერი მდგომარეობა არც ეხლა ქონდა საზოგადოებას სახარბიელო, მაგრამ ვინაიდან უკანასკნელ დროს გაცილებით აიწია ბინის ქირებმა, შესაძლებელი გახდა სესხის აღება იმ ვარაუდით, რომ ახალ გაშენებულ სახლების შემოსავლიდან სამი თუ ოთხი წლის განმავლობაში ამ ვალის გადახდა მომხდარიყო. ეს საკითხი გასული წლის საერთო კრებაზე იყო წარდგენილი, რომელმაც დაადასტურა და მისი განხორციელება მიანდო გამგეობას. უკანასკნელმა მოიწვია დამხმარედ საალმშენებლო კომისია, რომელსაც მიანდო სხვადასხვა ტექნიკური მხარეების მოგვარება და სახლის აშენების უშუალო ხელმძღვანელობა. აშენება დაიწყო შარშან ოქტომბრის თვეში და დამთავრდა დეკემბერში. სახლს აქვს ოთხი ბინა სულ 11 ოთახი, რომელსაც შემოაქვს თვიურათ 250 ვერცხლის დოლარი (გობი). სულ გაშენებაზე დაიხარჯა 6400 გობი, მოიჯარადრის ვალი დაგვედვა 5500 გ. როგორც მოწმობს კომისიის ანგარიში, სახლის აშენების დროს მიღწეულ იქნა ათასი მანეთის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეკონომია იმ საშუალო ფასების მიხედვით, რომლებიც ამ ჟამად არსებობენ ხარბინში საამშენებლო დარგში.

2. ქართველთა მიერ დაარსებული ბიბლიოთეკა-სამკითხველო დეკემბრის თვეში გადმოტანილი იქნა საზოგადოების შენობაში, სადაც მას დაეთმო ერთი დარბაზი ჯერჯერობით უფასოთ. ბიბლიოთეკას ქონდა ვალი 500 მან. და გამგეობამ ეს ვალი დაფარა. ვინაიდან ბიბლიოთეკას ქართველების გარდა უმეტესად სარგებლობს ხარბინის ფართე საზოგადოება და ამ ჟამად ქალაქი არავითარ დახმარებას არ იძლევა, გამგეობამ გამოიმუშავა ზომები, რათა ბიბლიოთეკა გადაყვანილ იქნას კომერციულ ანგარიშზე, ე. ი. გადიდებული იქნას კითხვის ფასი, რომ ამნაირი საშვალებით ბიბლიოთეკამ შეიძლოს თავისი ხარჯების დაფარვა და აგრეთვე საზოგადოების მიერ გაცემული თანხის დაბრუნება.

3. მარტის დამლევში საგანგებოთ იქნა მოწვეული საერთო კრება, რომელსაც მოხსენდა ის გარემოება, რომ ბ. ალ. მდივანმა შემოსწირა ხარბინის ქართველთა საზოგადოებას ყოველთვიურათ 5000 მექსიკანური დოლარი სწავლა-განათლების საჭიროებისთვის და განსაკუთრებით უმაღლესი სწავლის მსურველთა დასახმარებლათ. საერთო კრებამ უღრმესი მადლობა განუცხადა უხვ შემოწირველს და თანაც აირჩია კომისია, რომელსაც დაავალა ბ. მდივნის თანხის განაწილება თანახმად შემომწირველის სურვილისა. გარდა ამისა იმავე კრებაზე აღძრული იქნა კითხვა შემოწირული თანხიდან ახალი შენობის ვალის გადახდის, რომ ამ რიგად თავიდან აგვეშორებია სარგებლის გადახდა და ამაზე ყოველდღიური ზრუნვა, იმ პირობით კი, რომ სახლიდან შემოსული ფულებით შეგვევსო ბ. მდივნის ფონდი და არ დაგვერღვია ფონდის დანიშნულება და მისი სარგებლობის სათანადო წესი. საერთო კრებამ ეს წინადადება დაამტკიცა. იმავე კომისიამ შეიმუშავა წესდება სტიპენდიის სარგებლობისა, რომელსაც საფუძვლად დაუდვა ამავე მიზნით პარიზის ქართველების მიერ შემუშავებული წესდება, შემდეგი დამატებით: სტიპენდიატმა აუცილებლათ უნდა შეისწავლოს ქართული ენა, თუ კი აქამდე ადგილობრივი პირობების გამო ამისი საშვალება არ ქონდა, და სწავლის დამთავრების შემდეგ უნდა ნაწილ-ნაწილდ და შეძლებისა გვარად დაუბრუნოს სასტიპენდიო ფონდს მაზე დახარჯული თანხა.

4. საზოგადოების საშვალებიდან ჩვეულებრივათ მოეწყო საზაფხულო მოედანი ბავშებისთვის სხვა და სხვა გასართობებით და იქვე სწარმოებს ყოველდღიური მეცადინეობა ქართული ენის. გარდა ამისა გაიხსნა მოზრდილთათვის საღამოთი ქართული ენის კურსები, სადაც მეცადინეობა სწარმოებს სამჯერ კვირაში და ამნაირათ ახალგაზდობას საშვალება ეძლევა დედა ენა საფუძვლიანად შეითვისოს. გადაწყვეტილია სექტემბრიდან ქართული პირველ-დაწყებითი სკოლის დაარსება თვით საზოგადოების შენობაში.

5. ჩვენი საზოგადოების გარეშე დამოკიდებულებაში უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ჩვეულებრივათ «პრომეთეს» საზოგადოება ამ წელიწადსაც ნაყოფიერად მუშაობდა. და ჩვენი წარმომადგენლებიც აქტიურად მონაწილეობდენ. მიმდინარე წელს ხარბინში დაარსდა იაპონიის ხალხური პარტიის «სეგეიდანის» განყოფილება, რომელიც ისახავს მიზნად საერთოდ უსამართლობის მოსპობას, დაჩაგრულ ერების ურთიერთ გაცნობას, მათ დაახლოვებას და საერთოდ მხარს უჭერს ამ ერთა თვითგამორკვევის პრინციპს. ამ ორგანიზაციაში შედიან იგივე «პრომეთეს» ერების წარმომადგენელნი და რა თქმა უნდა მათ მუშაობას ჩვენ ხელი უნდა შეუწყოთ გამგეობა დიდი სიამოვნებით აღნიშნავს, რომ შორეულ აღმოსავლეთის ქართველთა ოჯახი წინანდებრ მჭიდროთ შეთანხმებულია ეროვნულ-პოლიტიკურ ნიადაგზე. «ჩვენ კარგად შევიგნეთ, რომ უცხოელებთან, ემიგრანტულ პირობებში ყოველივე პოლიტიკური უთანხმოება გვანაწილებს და გვაუძლურებს, ამასთანავე მავნე და უსაფუძვლოა, რადგანაც ჩვენი უპირველესი მიზანი გახლავთ და ეს უნდა უკარნახოთ ყველას, რომ შეერთებული ღონის ძიებით ჯერ განაწამები სამშობლო დავიბრუნოთ და მერმე მის შინაურ ბედნიერებაზე ვიმსჯელოთ.

6. ჩვენ ამ წელიწადს ჩვეულებრივად დიდი ზეიმით გადვიხადეთ ეროვნული დღესასწაული—ჩვენი სამშობლოს განთავისუფლების დღე—26 მაისი, რომელსაც საზოგადოების წევრები აღფრთოვანებით და მომავლის სრული იმედით შეხვდენ. მართლადაც მიუხედავათ იმისა, რომ საბჭოთა მესვეურები დიდ თაღლითობას ეწევიან და თავს იკატუნებენ ევროპის წინაშე და თითქმის ერთგვარი სიმპატიაც მოიპოვეს, მაინც არც ერთი ქვეყანა არ იქნება ისეთი გულუბრყვილო, რომ ნამდვილად დაიჯეროს საბჭოთა რუსეთის მშვიდობიანობის სურვილი, როდესაც შინ დღეს თუ ხვალ ცეცხლი უნდა გაუჩნდეს. ჩვენ ღრმად დარწმუნებულნი ვართ, რომ მიუხედავად გადამავალი პოლიტიკური ფანდებისა ევროპაში, რომელსაც ხან ერთი მხარე მიმართავს ხან მეორე თავიანთი ეგოისტური მოსაზრებისა გამო, ბოლოს მაინც საბჭოთა რუსეთს ევროპაში ზურგს შეაქცევენ და ის დაეცემა თავის უსამართლობათა სიმძიმის ქვეშ და შორეულ აღმოსავლეთის ამბებით...

შემდეგ გამგეობის მოხსენებისა კრებამ მოისმინა სარევიზიო კომისიის შენიშვნები, მოიწონა გამგეობის წლიური მოღვაწეობა და ერთხმათ გამოუცხადა მთავრობას უღრმესი თავისი ნდობა და მადლობა ხანგრძლივი და ნაყოფიერი ეროვნულ მოღვაწეობისათვის.

ახლად არჩეულ გამგეობის შემადგენლობაში შევიდნენ: თავმჯდომარე ექიმი ნ. ჯიმკარიანი, თ-რის ამხანაგი კოლონელი კოტე მახვილაძე, საოჯახო ნაწილის და სახლების გამგე ელ. ტექნიკოსი გ. ნიკოლაძე, ხაზინადარი—ინჟინერი ნ. მახარაძე, მდივანი—გ. ხუნდაძე, წევრები ვ. მესხი და ბ. რობაქიძე. სარევიზიო კომისიაში არჩეული არიან: ი. ღლონტი, ვ. ბარამიძე, მ. მჭედლიშვილი და მ. მასხულია.

№ №

Arpajon — Imprimerie de *La Gazette de Seine-et-Oise*.

Le Gérant : A. LARGILLIÈRE.